



ზურაბ ანტონოვი

მზის დაბნელება საქართველოში

პიესა სამ მოქმედებად

მოქმედი პირნი

გეურქ კარაპეტოვი, ძველი ვაჭარი.

რეესმე, ცოლი ამისი

ნენე, დედა გეურქასი

სიმონიკა, ბიჭი გეურქასი

პორუჩიკი გრიგოლ ჩეშმაკოვი, მდგმური გეურქასი

მიკირტუმ მინასოვი, ნათლია გრიგოლისა

თავადი ინდო შერმანაძე -----

აზნაური ზაალ პინტრიშიძე ----- გეურქას მეგობარნი, მოსუცებულნი

გლეხი ბერუა ლაპინაშვილი -----

ტფილისის მოქალაქე

რუსის ჩინოვნიკი

რუსეთის მუჟიკი გრიშა

ავლოტია, ცოლი ამისი

გლეხი ცოლ-შვილითა

ივანე -----

მანო ----- ტფილისის შარლატანები

გეო -----

დარჩო -----

მეზურნეები

საზანდრები

მაყურებელი ხალხი სხვა და სხვა გვარისა

მახარობელი

ნემეცი

მოქმედება ტფილისში. ი-ლი და მე-3 --- კარაპეტოვის სახლში და მე-2 დიდუბეში.

მოქმედება პირველი

ფარდა აიხლება და სცენა წარმოადგენს დარბაზსა. დარბაზსა აქვს შუაზედ მარჯვნივ და მარცხნივ კარები, მარცხნივ სდგას ტახტი დაფენილი, უკან აწყვია სკამები და წინა სდგას სტოლი. ნენე ზის ტახტზედ. აბრეშუმს ართავს და ზუზუნებს, მარეს დადის დარბაზში ნაზის სიარულითა და მღერობს.

გამოსვლა პირველი

ნენე და მარეს

გამიფრინდა სიხარულის ფრინველი, ლეილიმ,

შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა, ჰალეილიმ, სხვისა და სხვისა!

დავშთენილვარ აწ ესრედ უნუგემოდ, ლეილიმ,

უბედობის გამო სხვისა, ჰალეილიმ, სხვისა და სხვისა!

(ნენეს) ბებილო! ახლანდელი ვაჟები საყვარლებს რომ მოშორდებიან, ესე მდერობენ ხოლმე.

ნენე - ნეტავი შენა, შვილო, რომ ყმაწვილმა ხარ და სიმღერის მეტი ჯავრი არაფერი

გაქვს. მე ლამის ჯავრით გადავირიო

მარეს - რა ჯავრი გაქვს?

ნენე - როგორ რა არის! ანობენ, თუ წარდენამ უნდა მოვიდესო და ყველანი უნდა დავიხოცნოთო, მინდა საზიარებლათ მოვემზადო(მარეს იცინის) ქა! დახე ურცხვსა, ამ დროული ადამიანი როგორ მასხარათ მშვრება! რას იცინი, შე, შე, ლირფო?

მარეს - როგორ არ ვიცინი, აი უსწავლელობა რა არის, რომ ამ უწინდელს ხალხსა არაფრის მიხვედრა არა გაქვსთქმსწავლა რომ გქონდესთ, წაიკითხავდით წიგნებსა და იქიდგან გაიგებდით მზის დაბნელების მიზეზსა. აბა ჩვენსა მდგმურს აფიცერსა ჰკითხე და ის გეტყვის დაბნელების მიზეზსა.

ნენე - ქალბატონო, შენ იმასთან ჩურჩულ-კურკური დაეხსენ, თორემ ნახამ თუ რა მოგივა.

მარეს - რა უნდა მომივიდეს, არ იცი, ბებილო, ახლანდელს დროში ქალისგან ვაჟთან ლაპარაკი განათლება არის?

ნენე - ქა, მეხი თქვენც დაგეცათ და თქვენი განათლებაცა, კიდევ მაგისთანაებმა ჩაგვაყარა თვალში ნაცარიდა სეთი დრო მიგვივიდა.

მარეს - ბებიაშვილობამ, ქალისა ვაჟთან ლაპარაკი სირცხვილი არ არის, თქვენ ასე გგონიათ, როგორც დაგელაპარაკებიან, მასინვე შეგვჭამენ. შენა სთქვი ქალმა თავის თავი თითონ დაიცვას, თორემ ერთმანეთთან ლაპარაკი სხვა არა არის რა, ხოლოთ ვაჟი ქალის ცქერითა და ქალი ვაჟის ცქერითა სიამოვნებენ.

ნენე - (ორ თითს ტუჩებზე დაიდებს). არა, თქვე ურცხვებო, თუ ახლანდელი გომბიოები ლირფები არა ხართ, უცხო ვაჟი რას გეტყვით სალაპარაკოთა. 32

წლისა ვიყავ, ჯერ ქუჩაში თავი არ გამომეყო, თორემ კაცთან ვინ მაღაპარაკებდა, მერმე ქმარმა რო შევირთე, სამი წელიწადი დანიშნულმა ვიყავ, ნიშნობის ღამის მეტათ ჩემი ქმრის სახემ არ მინახამს, მერე ჯვარი დამწერეს და ერთი წელიწადი კიდენ ხმა არ გამეცა.

მარეს - იჰ... იჰ... იჰ... კაი ცოლ-ქმრობის ღაზათს კი ნახავდით, ჰა.

ნენე - ვითომ რატომღაო!

მარეს - აბა რაკი ქალი და კაცი ყმაწვილობის პასაკს გადავლენ, იმათი ცოლ-ქმრობა რა იქნება, მგონია ერთმანეთის დანახვაც კი ეჯავრებათ. ღაზათი იმასა აქვს და სასიამოვნო ის არის, რომ ქალ-ყრმათ სანამ სიყმაწვილე აწევთ, მანამდის შეიყარნენ ცოლ-ქმართა, ნახავ თუ როგორის სიყვარულით დასტკბებიან და ან როგორი მხიარული ცოლ-ქმრობა ექნებათ.

ნენე - (გაკვირვებით ორ თითს ტუჩებზე დაიდებს). ქა, გენაცვალეთ, ეს რაები მესმის თექვსმეტი წლის ქალისაგან! (მარესას ქოქლას მიაყრის). აი ფჩანას, მარეს, ფჩანას! შენამც გაგიშავდეს გვირგვინმა მაგისტანა ღაპარაკისთვინა. (დაავდებს თითისტარს ტახტზედა, მივარდება მარესას და ავდებს). წადი აქედან, დამეკარგე, შე ლირფო, დუს, შე ბეჭაიას ნაშობო!

გამოსვლა მეორე

ივინივე და რევსიმე

რევსიმე - (შემოესწრობა ჩხუბზედ და დედამთილს). თითონ შენ ბეჭაიავ და ქოფაკო, რას ერჩი მაგ ქალსა!

ნენე - აი სახელმა შენც გაგიწყდეს და შენი ქალიმაცა! გველი შენა ხარ და ეგ შენი წიწილაა! ის დღე დაიწოს, როცა შენ ჩემი ოჯახში რძალმა გახდი!

რევსიმე - ქა, გველი ჩავიდე მაგ ქოფაკი ყელში, შენი ვინმეები რომ აღარ ვაბარბარე ჩემს სახელში იმიტომა?

ნენე - შენი ვინმეებისათვის ხომ სუყველა შვრები, გაწყდეს იმათი გასავისი!

რეესიმე - ქა, შენი თავიც ამოგიჭამია, ჩემი გასაგის დაეხსენ, თორემ აღარ გახსოვს, იმ დღეს ქოში რო დაგარტყი და თეძო აგათრევინე, ახლა უარესი გიზამ!

ნენე - (ორ თითს ტუჩებზე დაიდებს). ქა, გენაცვალეთ, განა ჰარს დედამთილინ ესპესი პატივ ტა! (ორის ხელით ქოქოლას მიაყრის). აი მამიკედეს შენისთანა რძალმა, ტერტერამც წაუღია თავისი კოლო-პურტში შენი შამშიმებიანი ხავერდის ქათიბმა.

რეესიმე - (ქოქოლას მიაყრის). ოლოლო! ოლოლო! ვერ გაიგე დედამთილმა მოდნი აღარ არის, მანდ კტრე, ქოფაკ, თორემ სახლიდან გაგაგდებ!

ნენე - აი უწინამ დღე დაგელიოს შენცა და შენი ქალიცა, რომ შენ ნენე ვერ გააგდო.

რეესიმე - ქა! ჩემ ქალს რას მიწვდი, შე აშარო!

ნენე - აშარო და აშრის ჯინშო, აი შავი ჭირმა ჭამოს შენისთანა რძალი.

რეესიმე - ქა, ვერა ხედამ ამ ქოფაკსა, როგორ ენა წაიგრძელა, აბა თუ ვერ გაგაგდებ და ნახამ.(აიღებს აბრეშუმთანს ფირფიტასა და თითის ტარსა; გაუგდებს შუა კარით და მერე მოვარდება ნენეს.) გაეთრიე – მეთქი კარში, თორემ თრევით გაგიტან!

ნენე - არ გავალ!

რეესიმე - (წაავლებს კლავში ხელსა). გადი-მეთქი, თორემ თმით გაგათრეე.

ნენე - არ გავალ!

მოუვათ ჩხუბი. დაიწყობენ წივილ-კივილსა, რეესიმე ცალის ხელით მოხდის ლეჩაქსა და მეორე ხელით მიათრევს გარეთა, ნენე თან სწყევლის და თან არ მისდევს, მერე რეესიმე გაიყვანს ძალ და ძალ შუა კარითა და მარესა გავა მარჯვნივ.

გამოსვლა მესამე

სიმონიკა - (შემოვა შუა კარით და პუბლიკას). აჰ, დედა, დედა, რა აშარი ყოფილა ჩემი ქალბატონი, თქვენ ნუ მოუკვდებით ჩემს თავს! მთლა დეიბდღვნა უბედურმა, ეზოშიდ გამეიტანა ნინაბის კოჭატი და მისთანა მოზლო და მოზლო მის დედამთილს, რომე წელი ქვე აათრევია, წეიქცა ვუბედური და ჭყავის (გააჯავრებს) ვაი წელი, წელი, წელი. ალა ზედ მოესწრო და ჯავრობა დოუწყო ცოლს, მარა თუ მალე არ დაჩუმებულიყო, კილამ მასაც ზლო თავშიდ. აჰ, რავა გამეხარდებოდა, რომ მისთვინაც მოედო კოჭატი! აჰ! იმან რომ გუშინ სილა მიფსკვნა, დაეფსოს მას თავი, ეხლაც მეწვის ყბა, მინდა გავქცეულიყავ, მარა მიტომ ვერ წაველ, აგერ ყავლი გამივა და შევხარი ოცს ჭრელს მანათს.

გამოსვლა მეოთხე

იგინივე და გრიგოლ

გრიგოლ - (შემოვა შუა კარით და სიმონიკას). სიმონიკა, რაებს ლაპარაკობდი?

სიმონიკა - აჰ, მობრტძანდი, შენი მუხლის ჭირიმი? არაფერსა, დიდი ქალბატონი და პეტერა წეიკიდენ და მათი ანბავი მიკვირდა.

გრიგოლ - მარეხი ხომ მათში არ ერია?

სიმონიკა - იიმე! განა რას მიბრძანებ, ბატონო, რავა გარევე მარეხს ჩხუბშიდ, ნეტა მისი ზრდილობისა პეტერი მიჰკრობოდათ ვუბედურს მის დედ-მამას.

გრიგოლ - კარგი გაზრდილია?

სიმონიკა - აჰ! მომეცა ღვთის წყალობა, კაი ის იყოს: ის რო წიგნს წეიკითხვას, ნუ მამიკვდე, ჩვენმა ხუცესმა ისტე ვერ წეიკითხოს, ისთე ყოვლისფრად ზდილია. აჰ, დედა, დედა, იმან რო ოქროს ქსოვილი ხალიჩა შეკერა, არ ეგება მისთანა ქვეყანაზედ, მისი ბრჭყვიალება თვალს მოსტაცებს კაცს! კი ნუ გემიწყრები და ერთი რამ მინდა მოგახსენო.

გრიგოლ - აბა მითხარ!

სიმონიკა - ურიგო არ იქნება, შე ნუ მოუკვდები ჩემს თავს, რომე შენ და მარეხმა გვირგვინი იფსკვნათ: შენს მეტს კაცს არავის ჰფერობს მისი ცოლობა.

გრიგოლ - მეცა მსურს, მაგრამ იმისი მამა არ მაძლევს ნებასა.

სიმონიკა - იიმე! ვუბედური რაში გწუნობს, მის სოკოიან თავს გავხარ თუ! აჰა თვალათ ხარ კაი და ტანათ, ყმაწვილი და ჩინიანი, წორა ჩვენებური მჭადის ტოლა ოქროს აპელატი გაწყვია მა მსრებზედა.

გრიგოლ - ეგ ყველა კარგია, მაგრამ მარეს შინ არის?

სიმონიკა - კი, შინ გახლავთ!

გრიგოლ - წადი აბა, მოახსენე, გრიგოლ მოვა –თქო.

სიმონიკა - კი, ბატონო, მარა ქვე კი გევედრები, გვირგვინი იფსკვენიოთ, მე უმფრო მიტომ მიხარიან, მზითვის სკივრს ქვე მე მეგიტან და ბარე სამს მანათს დაგაგდებინებ.(გავა მარჯვნივ)

გამოსვლა მეხუთე

მარტო გრიგოლ

(დადის ოცნებით ლაპარაკობს) ჰო, სიყვარულო, სიყვარულო! მე ვგონებ, შენგან გულში აგზნებული ცეცხლი უმეტეს შემწველი იყოს, ვიდრე სახმილის ცეცხლი! თქვენმა მზემ, ეს არის ეხლა სადილს გაიხელ და მიმეძინა, ძილში ხმა შემომესმა, ვითომც მარეს მოსულიყო და მელაპარაკებოდა; ისე შეშფოთებით წამოვარდი, რომ აღარ ვიცოდი, სად ვიყავ და სად არა, მივიხედ-მოვიხედე და, რომ ვეღარავინ ვნახე, უეცრად მეცა სიყვარულის სევდა და სულ დამათულა; მერე ვჰსთქვი, მაინც სიზმარში იმასთან ვლაპარაკობდი, წავალ და ეგების მშვენიერი სახე ვნახო და იმასთან ლაპარაკით დავსტკბე და გავმხიარულდე – მეთქი, განგებაო! დიდს ხანს არ განმიქრობ ჩემს გულში აგზნებულს სიყვარულის ცეცხლსა, შენ გევედრები, ნუ მოგვისპობ ერთმანეთის სიყვარულსა და შენ გვადირსე ერთმანეთთან შეკავშირება.

გამოსვლა მეექვსე

იგივე და მარეხი

მარეს სემოვა მარჯვნივ კარით და გრიგოლი რომ დაინახავს, უეცრად დაიძახებს „ოჰ“ გული მისდის და მიდის წასაქცევათა, მაგრამ მარეს დაუჭერს კლავსა და აყენებს

მარეს - ყმაწვილო, გონება შემოიკრიფე, რა დაგემართა?

გრიგოლ - (სასწრაფოდ გულს მოიმაგრებს). უკაცრავათ, მარეს, შენი ჭირიმე, მომიტყევე, უზღველობა მომივიდა, კარებში ვერ მოგეგებე, მაგრამ, შენმა გაზღამ, ჩემი ბრალი არ არის: როგორც კარებში ფეხი შემოსდგი, უეცრად გამოკრთა შენი სახის მშვენიერების ელვა, შეიპყრა ჩემი გული სიყვარულის ჯაჭვით და მიმწურა სიკვდილამდე.

მარეს - კარგი, ყმაწვილო, კმარა ხუმრობა!

გრიგოლ - მარეს! მე მოგიკვდე, თუ ამას ხუმრობით გეუბნებოდე! შენს მზესა ვფიცავ, რა მე და შენ ერთმანეთისათვის სიყვარული გამოგვიცხადებია, მას აქეთ ძილი გამკრთალი მაქვს და თვალთაგან სიყვარულის ცრემლი არ შემშრობია! ველირსები იმ დღესა, რომ შენი მშვენიერებისაგან გამომკრთალი ელვა ჩემს გულს ანათენდეს!.. ოხ, მარესჯან! შენა ხარ კავშირი ჩემი სიცოცხლისა! შენა ხარ ნათელი ჩემი გულისა... ნეტავი ვიცოდე, ნამდვილ ველირსები შენთან შეკავშირებასა, თუ მოცთუნებული ვარ სიყვარულის ეშხითა!

მარეს - განა რწმუნება არა გაქვს ჩემის აღთქმისა? შენს მზესა ვფიცავ გრიგოლ, მარესი შენს მეტს არავის ეკუთვნის!

გრიგოლ - რა ვქნა, სულო! მე მითხრეს, ვითომ მამაშენი ვიღასაც ვაჭარ გაძღვედეს და ამისთვის ვითომ არამც თუ მამის მორჩილებამ დაგძლიოს და საუკუნოდ მიმცე განუქრობელის ცეცხლით დაწვასა.

მარეს - მე დიდათ მიკვირს, ყმაწვილი კაცი ხარ და სიყვარულის ძლიერებას არ აფასებ! განა ვინ უნდა აღმოფხვრას ჩემს გულში დამკვიდრებული შენი სიყვარული. მერწმუნე, თვინიერ სიკვდილისა ვერავინ აღმოფხვრის, ვერც მამა ჩემი და ვერც სხვანი! ერთი ოდენ შენა ხარ მფლობელი ჩემი შენდა კუთვნილება, როგორც თინათინმა ავთანდილი დაარწმუნა?

გრიგოლ - ძალიან სასიამოვნო იქნება.

მარეს - ფიცით გითხრობ, შენგან კიდევ, თუ შევირთო რამე ქმარი,

მზეცა მამხვდეს, ხორციელად ჩემთვის კაცად შენაქმარი,

სრულად მოვსწყდე სამოთხესა, ქვესკნელს ვიყო დასანთქმარი

და შენი მღავდეს სიყვარული, გულსა დანა ასაქმარი.

გრიგოლ - (სიხარულით) ოხ! ღმერთო! განა შენზედ უბედნიერესი კაცი კიდევ იქნება, რომელსაც სიყვარულისაგან ამგვარი აღთქმა ესმას? ჭეშმარიტად შემთხვევით ბედნიერად ვრაცხავ თავსა!(მარესს სიყვარულით) მარესჯან! მეც ისე დაგიმტკიცებ, გეთაყვანე, სიყვარულსა, როგორც ტარიელმა ნესტან დარეჯანსა და ვიყვნეთ ერთნი.

მარეს - ძალიან საუცხოო იქნება!

გრიგოლ

აწ რასაცა მე მაღირსებ, ხორციელი არა ღირსა,

მოწყალება იჩქითია, ღვთისა ამა არა მკვირსა,

შენთა შუქთა შემომადგა, ბნელსა გულსა ზედან მჭვირსა,

და შენი ვიყო, სადამდისცა დამიყოფდეს მიწა პირსა.

მარეს - (კლავს დაადებს მხარზედ, თავს მიიტანს გრიგოლის ლოყასთან, სიყვარულით უცქერს და ეუბნება)

ახლა ხომ დარწმუნებული ხარ გეთაყვანე, ჩემის შენს კუთვნილებაზედ?

გრიგოლ - შენმა გაზდამ, სრულად დარწმუნებული ვარ(კლავში გაუყრის ხელსა. სცენაზედ დადიან პოდრუჩკითა და ეუბნება) მაშ დრო არის, შეუღლების თადარიგს შევუდგეთ? შენმა სიცოცხლემ დღესვე!

მარეს - აბა როგორ უნდა სთხოვო მამა ჩემს ჩემი ძალათ შერთვა?

გრიგოლს - მე ბევრს ცერემონიებს არ მოყვები, პირდაპირ ვთხოვ, ვოენურათა, და, თუ ნებას არ მოცემს, მოგიტაცებ და ჯვარი დავიწეროთ.

მარეს - ეგ სირცხვილია, სახელი გამიტყდება, შენ შენი ნათლია მიკირტუმა გამოგზავნე და იმან ისე თავისათ ლაპარაკი ჩამოუგდოს მამახემსა ჩემს გათხოვებაზე და შენი მოცემა უთხრას, და, თუ ნებას არ მიჰსცემს, მერე მე სხვა ჰაზრს გეტყვი და ისე მოვიქცეთ.

გრიგოლ - ბატონი ბრძანდები, შენი ჭირიმე, როგორც შენ მიბრძანებ... (ამ დროს გარედან ისმის ხმა გეურქასი).

გეურქ - ჯერ ერთი შინ მინდა შევიდე, საქმე მაქვს და მერე ჩამოვალ ბაზარში.

მარეს - ვაიმე, მამახემი მოდის, ერთად არ გვნახოს, გეთაყვანე, წავიდეთ ჩქარა და ჩემი ოთახის კარით გადი!

გრიგოლ

წავიდეთ, შენი ჭირიმე!(გაველენ მარჯვნივ კლავი-კლავ გაყრილი)

გამოსვლა მეშვიდე

გეურქ - (შემოვა შუა კარით და ცოლს გასძახებს)რეესიმე!

რეესიმე - (კულისიდან ხმას მოსცემს). ვაჰმე!

გეურქ - არი ესტი, მე ბან უნიმ ასელუ

რეესიმე - ეს საათის აღაჯან! (შემოვა მარცხნივ კარით და გეურქას). აბა, ინჩ პიტის ხოსი?!

გეურქ - არი ნსტირ, კოსიმ (სკამებს მოიტანენ, დასხდებიან და მერე გეურქა)

რეესიმე! ის ემე შენ ემე, შენ ხომ იცი?

რეესიმე - აბა ვინა აღა ჯან!

გეურქ - ის ემე, ვა?

რეესიმე - ქა, ვინა?

გეურქ - ტო, ჩვენი ემეანთ ღაღო.

რეესიმე - მარქარაანთი?

გეურქ - ჰო, იმან კარგი ფერშალია, ერთი მოვიყვანოთ.

რეესიმე - ქა, რათ გინდა ალაჯან?

გეურქ - მზემ უნდა დაბნელდესო და მეშინიან, მინდა სასუნებელი რამე გამოვართო, რო გული იმითი შევინახო.

რეესიმე - ქა, განა მართალია!

გეურქ - ვა! გაზეთი კითხულობდენ ბაზარში.

რეესიმე - უი, უთუოდ ლილა გასცვეთიათ და ტყუილი მოუგონიათ.

გეურქ - ვა! ყველანი ამბობენ და ახლა შენ ნუ დაიჯერებ.

რეესიმე - ბას, ალაჯან, სანამ დაბნელება გადაივლიდეს, სარდაფში დავიმალოთ.

გეურქ - არა ერთი მე ისევ წაგაღ, ფერშალი კკითხამ და, როგორც იამნ მეტყვის, ისე ვქნამ. (ამ დროს ისმის გარედან ხმა მიკირტუმასი: გეურქ, ტანნე)

გეურქ - (ხმას მისცემს სცენიდგან) ოვას?

მიკირტუმ - (გარედან) ისიმ ქუ, მიკირტუმ.

გეურქ - აა.. მიკირტუმ რომანის ჰამეცექ(ცოლს) შენ მარეხის ოთახში შედი და მოერიდე. (რეესიმე გავა)

გამოსვლა მერვე

იგივე და მიკირტუმ

მიკირტუმ - (შემოვა შუა კარით და გეურქას). ვუნცის, პარენ, გეურქ!

გეურქ - ფარქ ასტუწო ლავიმ, ჰამეცექ ნსტირ(დასხდებიან სკამებზედ).

მიკირტუმ - დღეს ერთი კაი ჯურათი მიქნია, და შენთვინაც მინდა ვქნა.

გეურქ - რა ჯურათი?

მიკირტუმ - ერთი კარგი არტალა მიყიდნია, სადილათ ის მინდა ვჭამო დანივლული და შენც მეწვიე.

გეურქ - ეგ კარგია, მაგრამ მე რა ჯურათი უნდა მაქნევინო!

მიკირტუმ - (გაამაყებით) ჰ... შენთვინ, სეთი ემე მიქნია, ფიქრი, რო უფულოთ მინდა ქალმა გაგითხოვო.

გეურქ - ეგ ძალიან კარგი, მაგრამ ასუმინ, მზე უნდა დაბნელდესო და ხალხი დაიხოცოსო, ტყუილათ ორი დღისათვის რაღა გაგათხოვო ქალი!

მიკირტუმ - ეჰ!.. გლეხს ქარინ ტალინ, დიფ სუტინ ასუმ, შენი მდგმური აფიცერი არა თქო, ორი მინუტი დაბნელდება და ისევ გათენდებაო, დანელების დროს რო არ შემეშინდეს, მე თუნგი ლავ კახეთუ გინი გციმ, კუპარფიმუ კუ ქნიმ, გამეღვიძება და გათენებულებიც იქნება.

გეურქ - ისეღ ენპეს ვონიმ, ერკუ თუნგი გციმ.

მიკირტუმ - აჰა... ქუ ჰორნ ვოლორმი, პრწავუ გნაც.

გეურქ - ბას, აბა მითხარი, ვის უნდა მიმითხოვო ჩემი ქალმა?

მიკირტუმ - ვისა... ვისა... ჰა... კარგი ვნმესა, მოდი ეს ჩემი ნათლული აფიცერს მივცეთ.

გეურქ - ჩე, ახპერიმ, ბანჩე, მე ჩინოვნიკი ქალი არ მივცემ, მინდა ჩემი ტოლი ვაჭარი მივცე.

მიკირტუმ - ვა! პანციონში გაზრდილი ქალმა ვაჭარი გინდა მისცე?

გეურქ - არა უშავს რა.

მიკირტუმ - ვა! ჩემი ნათლული კარგი ვუნმეა.

გეურქ - არა, ვერ მივცემ.

მიკირტუმ - ვა! მერე სომეხია და ძვირად ღირს.

გეურქ - ჩე, ახპერ, ჩიმ ტა!

მიკირტუმ - ვა! უფულოთ მივცემ – მეთქი.

გეურქ - ასუმიმ. ჩიმ ტა!

მიკირტუმ - ვა, ასუმიმ, პორუჩიკი ჩინ უნე.

გეურქ - ტო, ასუმინ, ორექ მის უნე. ჩიმ ტა! (წამოდგება და გაჯავრებით) ვა, ძაუსუმიმ, ჩიმ ტა!

მიკირტუმ - ასუმინ სტანისლავი ხანჩრ უნე.

გეურქ - (დადის გაჯავრებით და ეუბნება) ჩიმ ტა!

მიკირტუმ - ასუმინ, ელი ურიშ პატივ უნე(ცხვირს დააცემინებს)

გეურქ - (იქით) ზაპრუმარ (მიკირტუმას) ტო, ასუმიმ, ჩიმ ტა!

მიკირტუმ - ასუმინ, მე იმქინელ აველ უნე.

გეურქ - (იქით) ვა ხათავ! (მიკირტუმას) ტო, ასუმიმ, ჩიმ ტა!

მიკირტუმ - ასუმინ, ზახრაბრისტი შპაგელ უნე.

გეურქ - (პუბლიკას) ვა, გიჟე, არ გამეცლება! (მიკირტუმას გაჯავრებით) ტო, ძერ ვიკალ, ახპერ, ჩიმ ტა!

მიკირტუმ - ასუმინ, კრასნი ვრტნნიკნელ უნე(ცხვირს დააცემინებს)

გეურქ - (იქით) ჩორუმცავ (მიკირტუმას) ასუმიმ, ჩიმ, ტა!

მიკირტუმ - ასუმინ, ჩექმივრა შპორნელ უნე.

გეურქ - (მივა და ააყენებს სკამიდან). თავი რათ მიხეთქამ ბევრი ლაპარაკითა, გეზნები, არ მივცემ, ჩემი მარეხი მამიკვდეს, თუ მე ჩინოვნიკი ქალი მივცე.

მიკირტუმ - ასუმინ, პუტუნნი ნაგრაღელ უნე(ცხვირს დააცემინებს)

გეურქ - (იქით) ასეტუნუ კრაკ(მიკირტუმას) ასუმიმ, ჩიმ ტა!

მიკირტუმ - მაშ არ მისცემ შენი ქალი შენი მღგმური?

გეურქ - არა

მიკირტუმ - (იქით) არა მარა(გეურქას) ბას კარგი, აღარც მე დაგპატიუებ არტალაზედ.

გეურქ - ტო, რა გინდა, ქალის საქმე იქით იყოს, არტალაზედ დამპატიუე!

მიკირტუმ - ჩე, ახპერ, შენი ქალი შენთვის იყოს, ჩემი არტალა – ჩემთვის (გავა შუა კართ).

გამოსვლა მეცხრე

გეურქ (მარტო) რა კაცია, პლუტი ჩინოვნიკი მიეცი შენი ქალიო, ისიც ვოენი, ფულეები ისე ფანტავენ, როგორც ბზე, სადაც მივლენ, დაიძახებენ: დავაი შაფანცკუ. გადაუყრიან ფულეები. თითქო რიყეზედ მოეგროვებინოთო. მერე შაფანცკიც ხომ სწორეთ არ გახსნიან, შემოჰკვრეს შპაგა და ბუთლიკა შუაზედ გახეთქამენ. ნახევარი იქცევა, ნახევარი სმენ; მერე მოუათ ჩხუბი, დუელ; იქმონენ; ეხლა მე რო ჩემი ქალი ჩემი მღგმური აფიცარი მივცე, ერთიც ვნახოთ, დაღეული მოვიდა, ერთი სიტყვა უთხრა, მაშინვე შპაგა მდევს თავში და კტრიც გლუს... მიზდიე გეურქ! ვა, რრა, კაცია მიკირტუმა, აპელატა აქვსო, მაკვირვებს! დიდი რამე გონია, ჰა... ამისთანა მუშური გირვანქა სამ აბაზათ არი!

გამოსვლა მეთექვსმეტი

იგივე და სიმონიკა

სიმონიკა - (შემოვა და გეურქას) ალა! ვინცლა სქელი თავადი გახლავს და თქვენს ნაცვას ნდომულოვს.

გეურქ - დაუძახე, მოვიდეს (გავა სიმონიკა და შემოვა ინდო)

გამოსვლა მეთერთმეტე

იგივე და ინდო

ინდო - (შემოვა და სალამს მისცემს) პარუმ გეურქას გაუმარჯოს!

გეურქ - გმადლობთ, კნიაზ! მობრძანდი, დაბრძანდი(დასხდებიან სკამზედ)

ინდო - რასა იქ, გეურქ, როგორ მშვიდობით ბრძანდებით?

გეურქ - გმადლობთ, კნიაზ! თქვენი ბრწყინვალეობაც ხომ მშვიდობით ბრძანდება?

ინდო - ეჰ, რაღა მშვიდობაა, ძმავე. ჯავრით აღარა ვარ.

გეურქ - რა ჯავრი გაქვს კნიაზ?

ინდო - რაღა რა ჯავრი, ძმავე, ეს რაღაც ეშმაკი მზის დაბნელება მოიგონეს, აეთი არიან შინა, ლამის ჯავრით დაწყდნენ.

გეურქ - მეც ეგრე ვარ, შენმა მზემა, ჩემი სახლობაც ასეთი ეშინიანთ, რომ რაღა ვთქო, არ ვიცი, თუ რა ვქნა.

ინდო - რაღა უნდა ვქნათ, ძმავე, ტყუილიააა, რაც მოგივა, მოგივა, უნდა თადარიგს შეუდგეთ. მე ესლა შენთან იმისთვის ჩემოველ, ვაი თუ მართლა გამიწყრეს ღმერთი და, როგორც ანბობენ, ხალხი უნდა დაიხოცნენო, მეც მამიკედეს ვინმე, ფულებს მინდა დაგესესხო, ერთი ათიოთ თუმანსა, რომ მზათა მქონდეს სამარხათა.

გეურქ - ფულები, კნიაზჯან! რა ვქნა, ნუ გეწყინება, ვერ მოგცემ, ერთი ამისთვის, რომ ვაი თუ ჩვენც დავიხოცნეთ და ვიღამ გამოგართოს, და მეორეც იმისთვის, რომ , კი ნუ გეწყინება და, თავადები ნასესხები ფულები აღარ იძლევიო.

ინდო - ეჰ... შე ოჯახქორო, აგრე როგორ ამოწყდებით ყველანი, რომ ფულის გამომრთმევი აღარავინ დაგრჩეს, და მოცემაზედ კი ხათრიჯამი იყავ, პარუმ

გეურქ, რომ მამა ჩემი ნუ წამიწყდება, ვადაზედ შეჭკველად მოგცემ, თუ გინდა, კალოზედ პურს მოგცემ, კოდს ოთხ აბაზათა.

გეურქ - რა ვქნა კნიაზ! ეგ კალო ძალიან გული დამწო.

ინდო - როგორ, ვაჟო?

გეურქ - თქვენი ის ემე არ არის, გურგენ კნიაზი?

ინდო - ჰო, ვიცნობ, ვიცნობ

გეურქ - იმან შარშან პური დამიკვეთა, კალოზედ უნდა მოეცა, წინდაწინ შემოეთვალა ტომრები გამომიგზავნე, პურით ავამსეფ და შეგინახამო, რომ ამოხვალ, მოგიწყამო. მეც გაგებრიყვდი და გაუგზავნე. თურმე დალის ასადებათ ტომრები არა ჰქონოდა და იმისთვის არა სდომია! მერე პურისთვისათვის რო წავედი, კიდენ ერთი წყვილი სათალი და ერთი კარგი ზურგიელი წავიდე და მივართვი. ბატონო, ის თევზებით შეჭამა, ტომრებიც სულ დაეგლიჯა და აღარც პური მამცა, მებნება, თუ წრეულ მოსავალი ნაკლებად მოგვივიდა და კვლავ მოგცემო. ჯერ დღესაც გარბის, არ ვიცი, ავიღებ თუ არა, მაგრამ რას ავიღებ, მგლის ხელში ბატკანი ჩავარდეს, კიდენ გაართმევს ვინმე? უკაცრავად კი ნუ ვიქნები, კნიაზჯან, და თქვენ წორეთ ფულის გლებმა ხართ.

ინდო - პარუმ გეურქ! მე იმაზედ ნუ გამცვლი, მამა ჩემი ნუ წამიწყდება, ისეთ პურს მოგცემ, რომ სწორეთ დარკვეული იყოს. მერე შენის ჩანახით აგიწყამ და ჩემის ურმით ჩამოგიტან.

გეურქ - კარგი, კნიაზ! გენდობით და ერთი შენი პირიცა ვნახამ. (ისმის გარედან ხმა: პარუმ გეურქ, შინა ბრძანდები?)

გეურქ - შინა ვარ, რომელი ხარ? აქ მოდი!

გამოსვლა მეთორმეტე

იგინივე და ზაალ

ზაალ - (შემოვა და სალამს მისცემს) პარუმ გეურქას გაუმარჯოს, (ინდოს) კნიაზს ვახლაავარ!

გეურქ - გმადლობთ, დაბძანდი! რისთვის გარჯილხართ?

ზაალ - (დაჯდება) რაღა რისთვის გავრჯილვარ ვეჟო, ე რაღაც მზის დაბნელებას ანობენ, ლამის შიშით დაწყდეს შინაურები, დღეს გამამაგდეს, წადი გეურქას ერთი ხუთით თუმანი დაესესხე, ვინ იცის რა შემთხვევა მოგვეცესო. თუ ღმერთი გწამს, გეურქ, ხელი გამიმართე.

გეურქ - ეჰ, ხუთი თუმანი არაფერია, შენ კაი ემისათვინ პირი გაქვს. ნასესხისთვის, გენდობი, მაგრამ რაზედ გინდა?

ზაალ - რაზედაც გინდა მამეცი, თუ გინდა ტივებს დაგიკვეთ.

გეურქ - ვა, ტივი რათ მინდა, დურგალი ხომ არა ვარ, ისე გენდობი ბარათითა.

(ისმის კულისიდან ხმა ბერუასი: ალა, შინა ბრძანდები?

გეურქ - რომელი ხარ? აქ მოდი!

გამოსვლა მეცამეტე

იგინივე და ბერუა

ბერუა - (შემოვა და თავს დაუკრავს). ალა ადექელა ღმერთმა(ინდოს და ზაალს) ბატონებს გაუმარჯოს!

გეურქ - რისთვის ჩამოსულხარ ბერო?

ბერუა - ოჯახი რომ დაექცეს ჩვენებურს ტარატასა, მზე უნდა დაბნელდესო, რაღაც ეშმაკი მოიგონა და ე დედაკაცები სულ დაგვიგიჟა, ზოგს საწირავს აზიდვინებს დედლისათვის შენი ჭირიმე, ზოგი სამღვთოსა ჰკლამს და ზოგი რას ჩადის. ჩაიქცა ი ოჯახდაქცეული შემოსავლითა, ამისთანა დოვრანი თავის დღეში არ დასცემია, იმისთვის მზე კი არ ბნელდება, უფროც გათენდა. მეც დედაკაცებმა გამომაგდეს, წადი ვალი აიღე და ერთი თოხლი იყიდე, სამღვთო

დაკვლათო. თუმან-ნახევარი მავალე ადა! სართლოთ ტკბილს მოგართმევ, კოკა მანათათა.

გეურქ - მერე ერთი თოხლისათვინ თუმან-ნახევარი რათ გინდა?

ბერუა - იმისთვინ კი მაგტელი რათ მინდა, მაგრამ ერთი რკინის ჯაჭვიც მინდა ვიყიდო.

გეურქ - მერე ჯაჭვი რათ გინდა?

ბერუა - რა ვიცი, მკითხაგმა თქვა, მზე რო დაბნელდება, ულაყი ჩოჩრები გაცოფდებიან და ძაღლებს დაგლეჯენო: ერთი ჩოჩორი მყავს, მართლა თუ ღმერთი გაუწყრა და გაცოფიანდა, ჩვენს ბატონს ოცი მწვევარი და მეძებარი ჰყავს, სულ დაუგლეჯს და ვიღა მოურჩება იმისა, მინდა წინ და წინვე ჯაჭვით დავაბა.

ზაალ - ჩოჩორი კი არა და, მეც გავიგონე, რაც პირუტყვია, მზე რო დაბნელდება, თვიანთი თავი სულ მგლები ეგონებათ, მისცვივიან და ერთმანეთ დასჭამენო.

ინდო - უფრო საკვირველი გავიგონე: მზე რო დაბნელდება, ფრინველები წვილს დაიწყებენ ასეთის ხმითა, რო ყურთა სმენა აღარ იქნებაო, მერე ჩამოვლენ ქვეყანაზედა, დაერევიან ადამიანებში და ნისკარტითა და კლანჭითა თავპირს დააფხრეწენო.

გეურქ - არა, კნიაზ, ასე ამობენ, მზე რო დაბნელდება, ციღან წამოვლენ გველეშაპები და, რაც ლამაზი ქალი და ვაჟია, სულ ჩაყლაპენო.

ბერუა - აიპე! იმ ტიალებსა სხვა საჭმელი გაუწყდათ! თუ მართლა აგრეა, ი ოხრებმა ნეტავი უწინ ჩემი ბატონის მოურავი ჩაყლაპონ თავისი ცოლითა, რომ იმისგან მოსვენება აღარა მაქვს. აგრე კი არა, აი დასწყევლათ ღმერთმა, ერთი კიდევ რაღაც უცნაური თქვეს: მზე რო დაბნელდება, ერთი საშინელი დაიქუხებს და, რაც ორსული დედაკაცები არიან, შიშით სულ ტყუპ-ტყუპსა შობენო, მერე სიმწრით დაცოფდებიან და კაცებს დასჭამენო.

ინდო - ესეც გავიგონე, მზე რო დაბნელდება, შავი ზღვა ფრთონას დაიწყებს, გადმოვარდება და კასპიის ზღვას შეუერთდება და, გზაზე რაც ქალაქი და სოფლები დახვდება სულ თან წაიღებსო.

ზაალ - უფრო საშინელი არა თქვეს: მზე რო დაბნელდება, გაჩნდება ანტე ქრისტე თავისი ჯართა შავი ზღვის პირსაო, და უერიების გარდა, ყველა ხალხს დახოცამსო.

გეურქ - ვა! მაშ წავიდე, ყაყობა ურიას შევეხვეწო, ჩემი ფული მართებს, ეგება არ მომაკვლევინოს. ეჰ, ეგრე არა, ერთი ჩემი მეგობარი – თქო, გაზეთაში ესე წერია, მზე რო დაბნელდება, ფრინველები ძირს ჩამოცვივიან და დაიხოცებიანო, მერე პირუტყვები ცაში ავლენ და, მზე რო გამოვა, ფრთებშესხმული ჩამოვლენ ქვეყანაზედა, იმ მკვდარ ფრინველებს შესჭამენო, მერე ადამიანებს დაიტაცებენ და უკიანის ზღვაში ჩაყრიანო.

ბერუა - ამასაც მოგახსენებენ: მზე რო დაბნელდება, ციდან ცეცხლი ჩამოვა და მთელს ქვეყანას გადასწვამსო, მაგრამ რომელ ერთს დაუჯეროს კაცმა ამ ოჯახქორებსა, ზოგი რას ბოდამს და ზოგი რასა! ეს ანბები წორეთ წარყვნის ნიშანია, ტყუილდაა, შვილო, ჩვენი გაწირვის დღე მოსულა, ისევ დმერთს უნდა მივენდოთ, რაც იმის ნებაა, ის იქნება. მაგრამ იქნება მართლა, როგორც ანბობენ, ლილა გაუცვდათ და მზის დაბნელება ტყუილათ მოიგონეს?

გეურქ - მეც ესე მგონია, გველუშაპები კი წორეთ მოცვივიან ქვეყანაზედა და, ვისაც გარეთ მოასწრობენ, იმას მოიტაცებენ.

ინდო - ისევ ყველას ისა სჯობს, ჩავიდეთ ცოლ-შვილით სარდაფებში და სანამ მზის დაბნელება გადაივლიდეს, დაუწყოთ ღვინოს სმა, რომ არ შეგვეშინდეს.

ზაალ - ძალიან კარგსა ბრძანებ, მეც აგრე მოვიქცევი, მაგრამ ამასაც ანბობენ: მზე რო დაბნელდება, საშინელი მიწის ძვრა იქნება, ასეთი რომ იაღბუზი და თრიალეთი ერთმანეთს ეცემიანო. იმ ძვრაში სახლები რომ თავს დაგვექცეს, ხომ დავიხოცებით!

ბერუა - ეჰ, დავანებოთ ამთენს ლაპარაკს თავი, თქვენ კი დაგლოცათ ღმერთმა! აგრე ღმერთი როგორ ხელს აიღებს ჩვენზედა, რომ სულ დაგვხოცოს! გული გავიმაგროთ, ძაან დავთვრეთ და დაბნელების დროს გავიდეთ კარში, რაც მოგვივა - მოგვივა, ხომ მოგეხსენებათ: ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკირსაო.

გამოსვლა მეთოთხმეტე

იგინივე და ნენე

ნენე - (შემოვა და თავს დაუკრავს) ბატონები აცოცხლოს ღმერთმა! (ყველანი ფეხზედ ადგებიან, თავს დაუკრავენ).

ინდო - გაცხონა ღმერთმა, ნენე! რასა იქ, ხომ მშვიდობით ბრძანდებით? დაბრძანდი! (დასხდებიან ყველანი).

ნენე - ეჰ, ჩემი მშვიდობა რაღა მშვიდობაა ამ დროს გადამკიდე.

ინდო - მართალს ამბობ, დედაშვილობაჲ, ძალიან ცუდი დრო შეგვექნა ამ მოხუცებულებსა.

ნენე - რატომ არ შეგვექნება ცუდი დრო, დედაშვილობის ნდობა აღარ არის და დედამთილ-მამამთილისა, სიძვირე ეს არის, სულ დაგვაღარიბა ხორაგის ყიდვამა, მაგრამ მაინც კაცი ვეღარ გამძღარა რიგიანათა.

ზაალ - ახლა ახლანდელს ჩვენს ახალგაზრდებსა ჰკითხე, ასე ანბობენ, ჩვენისთანა მდიდარი ხალხი არავინ არისო და ვერც არავინ ჩვენისთანათა ცხოვრობსო.

ინდო - აბა ამათი სიმდიდრე რა სიმდიდრეა, ბატონო! თუ კაცები არიან, ერთი კაცი ისტუმრონ სადილათა, თუ კუჭი გაუძღონ.

ბერუა - მე და ჩემმა სუმმა სწორეთა ბრძანებ.

ინდო - სწორეთ როგორ არ ვანბობ, ვაჟო, დაგსმენ ტოლია თუ რაღაც ეშმაკი იმაზედა და ელი ამ ხანს და იმ ხანს საჭმელსა, უნდა ჩამოგიშეშდეს ფეხები ბევრის ჯდომითა; მერე მოგიტანებენ, დაგიდებენ წინ თეფშსა და ერთს საათს ცარიელი თეფშისთვის გაცქერინებენ; ახლა მოგიტანებენ, ბატონო, დანა-ჩანგალსა და შესცქერი, თუ როდის მოგივა საჭმელი.

ზაალ - აი იმ ჩანგლის მამგონს დაექცეს ოჯახი! ბატონო, ერთს სადღაც ჯანაბას შეუხვდი ტოლზედ სადილათა და, მეც სხვის მიხედულობითქა ჩანგლით დაუწყე ჭამა; გამიწყრა ღმერთი, ვიბგერე ი ტიალი ტუნში და გავიხეთქე; წამსკდა, ბატონო სისხლი და, თქვენმა მზემა, ნახევარ თუნგი მეტი მედინა; გამოვარდი გარეთ ლანძღვითა, ოჯახი თქვენც დაგექცათ და თქვენს მასპინძლობასაცა – მეთქი! ბატონო, რა გვიჭირდა ჩანგალი რომ არა გვექონდა, რომელი სჯობს(აჩვენებს ხუთს თითსა) ამ ღვთისაგან მოცემულს ჩანგალსა? მართალია, გემრიელათ არ გაჭმევს!

ინდო - ახლა, ბატონო, მოიტანებენ და ჩამოგიმწკრივებენ კოვზებსა და სწორეთ მამლის ყანწის ტოლა ტაქნებსა.

ბერუა - აი ი ტაქანის მამგონს ამოუწყდეს ცოლშვილი! ი ტიალში რო ჩაასხამ ღვინოსა და იწაფებ, როგორც ყელს მოიღერებ დასალევათა და ი ოხერი იქვე ყანყრატოში მოწყდება. რა გვიჭირდა, თქვენი ჭირიმე, რო ჯიხვითა ვსვამდით, ჰე, ვენაცვალე იმის გამჩენსა. მართალია დალევ თუ არა, მაშინვე ფერდებში მოგხვდება.

ინდო - ახლა, ბატონო, ელი პურსა, მოგიტანებენ და თითო ნათალს დაგიწყობენ წორეთ თითის სითხეთა, ერთ ლუკმათ ცაიდებ და კიდევ გათავდება; ელი კიდევ, თუ როდის გამოვა წყალობა, რომ კიდევ მოგიტანონ, თუ შეგასწრო მასპინძელმა თვალი, ხომ რა კარგი, დაუძახებს: პრინესი კუსოკ ხლება... თუ არა და, უნდა იჯდე ისე მშვიერი.

გეურქ - რათა კნიაზ! მოთხოვა სირცხვილი არ არის, მაშინვე მოგიტანებენ.

ინდო - ახირებულია, თქვენმა მზემა, ბატონო, რათ მოვიტხოვო, რა ენადვლებათ ქრისტიანულათ მოიტანონ ი ოხერ ტოლზედა და მთელი პური დასდონ, რასაც შევჭამ – შევჭამ, რასაც არა – იქვე არ დარჩებათ.

ზაალ - ახლა მოგვიტანებენ, ბატონო, (თითით აჩვენებს) ამოდენა შავი ბოთლათი ღვინოსა, დასდგმენ ტოლზედა და გვერდით ერთი იმოდენა ბოთლათი წყალს მოუდგმენ.

ბერუა - თქვენი რისხვა არა მაქვს, ხელში რო ჩავიგდო ი ბოთლას გამკეთებელი, კბილით დავგლეჯამ! ეშმაკათ ერთს კაცს ქირა მიუტანე და სადილი უნდა ეჭმია, - დამსვა, შენი ჭირიმე, სადილათა და ღვინოი მამიტანა. ერთი ორიოდ ტაქანი რო დავლიე და, გაუწყრა ჩემი იესო ქრისტე, აკი დაიცალა! ვამბობ, რა ვქნა, ამ ტიალს, თითქო აბრუ კარგი აქვს და ასე მალე რამ დაცალა – მეთქი? ავიდე ხელში გასაშინჯათა, თურმე, ნუ ბრძანებ, შენი ჭირიმე, ოხერს(უჩვენებს მუშტსა) წორეთ ამოდენათ კი ჰქონია ძირი შეხვრეტილი! აი გაიწყრა ღმერთი შენცა და შენ გამკეთებელსაცა – მეთქი! არა ის ოჯახდაქცეული იმის გამკეთებელი, თუ ქრისტიანის სული უდგია, ბჭო, რა ენადვლება, ი ძირი წორეთ უყოს, რომ პატარა მეტი ღვინო ჩავიდეს...

ინდო - ახლა, ბატონო, მოგვიტანებენ რაღაც ეშმაკურს საჭმელებსა, ჩვენებურს ხო ვეღარ ნახავ, დასდებენ ზედ კოვზსა და ჩამოატარებენ, ოცი კაცი რო იყოს, ყველამ უნდა გაიხვედროს, ან შეგხვდება ერთი ლუკმა და ან ისიც არა.

ზაალ - ბატონო, იმით შეჭმასაც რო არ დაგაცლიან, ერთი ბიჭი რო საჭმელს მოგართმევს, მეორე ბიჭიც დიამბევის იასაულივით თავს გადგია, წამოუვლის ტოლსა და ისევ შეუჭმელს თეფშებს წამოჰკრეფამს.

ინდო - ახლა ბატონო, იმათი ღვინის სმა უნდა ნახო, დაჰკვრენ ტაქანზედ ერთს ცვარს ღვინოსა და ზედ ორ წილს წყალ დაასხმენ, შესვრეტენ ორიოთ ყლაპს ჩაისავითა, გადიწერენ პირჯვარსა, წამოცვივიან და აუყენებენ სკამებს რახარუხსა; მერე ჩაიჩრიან შტვირივით პირში რაღაც ეშმაკური პაპირუსები შემოიღეს იმასა, დადიან და ქაჯებივით სხვა ენაზედ ლაპარაკობენ, რომ ქრისტიანი კაცი ამათსას ვერას გაიგებს. ვეჟო, რა გვიჭირდა, რომ ტოლზედ არა

ვჭამდით პურსა, დაგფენდით კაი საფენსა, გავშლიდით ზედ სუფრასა და მოუსხდებოდით გარშემო; პური კაცის თავს ოროლი მოგვივიდოდა, ხორაგი აუარებელი და ხორცი, რისაც უნდა ყოფილიყო, სულ მთელ-მთელ ასო; ღვინის სმას ნულარ ბრძანებ, დაგვადგებოდა თავს მერიქიფე და ჯიხვებით სწორეთ წვიმასავით გვაყრიდა; ისე ვილხენდით ხოლმე და კიდევ, სუფრიდან რომ ავდგებოდით, ჩვენი ნასუფრალით ათი კაცი კიდევ გაძლებოდა, და ამათი ნასუფრალით ერთი კატაც ვერ გაძლება.

ზაალ - საჭმელს ჯანი გავარდეს, ეს საცმელიც რო ეშმაკური შემოიღეს, წორეთ გუდასავით ჰკიდიათ ტანზედა და სახესაც ხო იგრესენ რაღაც ნაირათა, ზოგს ნიკაპზედ გამოუშვერია პატარა წვერი თხასავით, ზოგს ყბაზედ გაბანჯგვლილი დათვივითა, ზოგს სადა და ზოგს სადა და თმაზედაც რაღასაც ჯანაბას იგლესენ, ფერი ღორის ქონისა აქვს და, არ ვიცი, თუ რა არის.

გეურქ - კნიაზ, ეხლა ჩვენი ჭკუის ხალხი ძვირათ ნახამ.

ინდო - ახლა, ბატონო, ერთი შეხედე იმათ გაპლუტებასა, ამ ქონის სანთელსაც ხომ აღარ კადრულობენ, ცუდი სუნი აზდის, დაგვაჭლექებსო, რაღაც ეშმაკური სანთელი შემოუღიათო, ასეთი ხმელია ის ტიალი, მერწმუნე, რო ურიას თავში დაარტყა, გააქრისტიანებს. ვაჟო, იმათი მამები არ იყვნენ, ჭრაქით წვამდნენ ღორის ქონსა, რატომ არ ჭლექდებოდნენ!

ზაალ - ქონის სანთელის დაწვა კი არა, ღვინის უსმელობა აჭლექებთ იმათა. ისინი ჩვენ დაგვცინიან, ვითომც ბევრ ღვინოსა სმენო, ახლა ჩვენი ფერიცა ნახონ და იმითაცა: ჩვენ რომ ღვინოსა ვსვამთ და გამოვდივართ გარეთა, წითლათ დაჟღაჟი გაგვაქვს, ისინი რომ ჩაის სმენ, მუცელში ჭაობი უკეთდებათ და იქიდგან სიყვავითლე შეზდით, მერე შეუათ სიჭლექე, იავადებენ და ისევ უცოლშვილონი ოცდახუთის წლის კაცნი კვდებიან. იმათ ჩვენსავით ღვინო დალიონ, თუ ბევრი იცოცხლონ.

ინდო - ერთი რაღაც ეშმაკური საჭმელი იციან: ზოგი წითელია და ზოგი ყვითელი დაჭრელებული, დაამზადებენ, ბატონო, თეფშზედა და სწორეთ ბნედამოსული კაცივით ცახცახებს, ზედ დაადებენ კოვზსა და იმითი უნდა

შეჭამო, ისეთი ცივია ის ტიალი, ისეთი ცივია, რომ სიცივით კბილებს დაგაყრევინებს, მერე როგორც პირში ჩაიდებ, ყბის მოქნევას ხომ აღარ დაგაცლის, ისე უეცრად გაწყალდება, რომ არც სულს არგებს და არც ხორცსა.

გეურქ - კნიაზ! მაგას ემე ჯილე ეძახიან.

ინდო - გეტყობა, პარუმ გეურქი, იმ ემეს მალ-მალ მიირთმევ ხოლმე, რომ სახელი გცოდნია.

გეურქ - ეჰ, რა ჩემი საქმეა, მაგრამ ახარ სტუმრათ რო შევესწრობი, მეტი რა ღონეა, იმას კი არა, მთელი იმათი სტოლის საჭმელები ერთი მათლაფა ჩაბუებუებული ბოზბაში მირჩევნიან.

ინდო - ჰაი თუ აგრე!

გეურქ - ახლა, ბატონო, ეს რაღა ღვთის რისხოა, ერთი კაბა რო უყიდო შენი ცოლი და ერთხელ კანპანიაში ჩაიცოს, მეორეთ ის აღარ ჩაიცომს. ამბობს, მოდნა აღარ არისო, რა გინდა ქნა, ახალი უნდა უყიდო, თორემ პური გაგიშხამებს.

ინდო - ოჰ, მაგას კი ნულარ მეტყვი, ძმავ, ეს ჩვენი თავადობა ლამის მაგ მოდნა-მუნდამ დაგვღუპოს.

ნენე - აი დაიქცეს მაგათი მოდნი! ბატონო, უწინდელს დროში როგორ შეგვეძლო დედამთილისა და მამამთილის წინ ხმა ამოგველო და ეხლანდელი რძლები დედამთილებს კიდევცა სცემენ! ეხლანდელი ყმაწვილი გომბიოებიცა ხომა დაინიშნებიან თუ არა, ჯერ ჯვარდაუწერლები, ქმარი მოხვდებათ თუ მაზლი, გაუყრიან კლავში ხელი და დაზღვევენ ქუჩა-ქუჩა. აშრები! გაწყედეს იმათი პირის წყალი, როგორც ჩვენი ნამუსი გაწყვიტეს!

ინდო - მართლა ეგეც კარგათ მამაგონე, ბიჭო ერთი ვიდაც ოხერტიალი შემოვა შენს სახლში. დაგიწყებს მეგობრობასა და მისვლა-მოსვლასა, მერე წაავლებს ბატონო შენს ცოლს კლავში ხელსა და დაათრევს ქუჩა-ქუჩა, ვინ იცის სად ეშმაკებში! შეხვალ, იკითხამ სახლში, ბიჭი გეუბნება, თუ აქ რო ჩინოვნიკი დადის, იმან წაიყვანა ქალბატონი გარეთაო. დაგწყევლოს ღმერთმა ეშმაკო! ბიჭი,

რა გინდა შვილო, ე სად მიათრევ ამ ჩემს ცოლსა, ვინა ხარ, სადაური ხარ, რას ეტყვი ჩემ ცოლსა, დიდება შენთვის ღმერთო! არა გაგონილა რა ამისთანა, არა თქმულა რა! მეც ადრე ქალაქში შემამეჩვია სახლშია და დამიწყო მეგობრობა, მერე ერთს დღეს ხელი სთხოვა ჩემს ცოლსა, კნეინა, პოიდომ გულათო. ბიჭო, იქით დაიკარგე, თორემ გულათ მოგცემ – მეთქი, მოვისვი ხანჯალს ხელი, ვიფრინე შინიდგანა და ის დღე იყო და ის დღე, სწორე ბზობის ყვავილივით დაიკარგა ჩემი სახლიდგანა.

ნენე - თქვენმა მზემა, ბატონო! ორმოცი წლის ქალი რო კარებში მდგარიყო და ქუჩაში კაცს გაეველო, მაშინვე კარს მოჰკეტდა და პირს მოარიდებდა, ეხლანდელი ქალები ძალათ კარებში გამოდიან ჩიქილა გადაფრიალებულები და ნაწნავებს ზეთ ამოყრილები, რა არის ვაჟებმა დაგვინახონო.

ზააღ - ბატონო, ეს კვდრებზედ გლოვაც რო ამოაგდეს, უწინდელს დროში რას ნაირათ ძაძებით და საბნელეთში სხდომით გლოვა ვიცოდით, ახლა სადღა ნახავ იმისთანა გლოვასა, თუ მოუკვდებათ ვინმე, იქნება დაღვეის ჟამს კი ჩამოაგდონ ცრემლი, თორემ მერე როგორღა ნახავ ნატირებსა.

ინდო - ბევრი რაღათ ვილაპარაკოთ, ერთის სიტყვით, ამ მოხუცებულს ხალხსა ცუდი დრო შეგვექნა, ჩვენს ჭკუაზედ აღარა არის რა.

სიმონიკა - (შემოვა და გეურქას) ალა, ჩვენი მდგმური აფიცარი თქვენს ნახვას ნდომულობს.

გეურქ - მობრძანდეს, უთხარ. (სიმონიკა გავა)

გამოსვლა მეთხუთმეტე

ივინივე და გრიგოლ

გრიგოლ - (შემოვა, თავს დაუკრავს ყველასა და ისინიც ფეხზედ აუდგებიან). რასა იქ, პარუმ გეურქ, რას შეექცევით! (ისევ დასხდებიან)

გეურქ - არაფერს, ახლანდელი დროზედ ვლაპარაკობდით.

გრიგოლ - ხომ არაფერს უჩივით?

გეურქ - დიას! ძალიან ცუდი დრო არის.

გრიგოლ - მერე რა არის ცუდი?

ინდო - ცუდი დრო მეტი რაღა იქნება, ბატონო, კი ვედარ მოვისვენეთ და, ჯერ მოვიდა ხორველა და ხალხი სულ ამოქლიტა; მერე მოვიდა კალია და სამი წელიწადი ვედარ მოვიშორეთ; მერე მოჰყვა კიდევ ხორველა და სრიმლი გაავლო აქაურობასა, იმას მოჰყვა გვალვა და ასე დაგვამშია, რომ პურით ვედარ გამაძღარვართ; მერე გაჩნდა საქონლის ჭირი და სამი გუთნეული გამიწყვიტა. ახლა ეს მზის დაბნელება მოსდევს და ვნახოთ, ეს რასა იქს. ყველა, მაგრამ მზის დაბნელება რაღაა, ვის გაუგონია საქართველოში, თქვენი ჭირიმე?

გრიგოლ - ეგენი ყოველივე ჰაერზედ არის დამოკიდებული და არა ამ დროზედ, და მზის დაბნელება კი არაფერი გასაკვირველია. თქვენ არ მოსწრებხართ, თორემ საქართველოში თავის დროზე ყოველთვის დაბნელებულა მზე.

ინდო - ჰო, მე ვიცი, თქვენ მოსწრებოდით, რას ბრძანებ! ვინ გაიგონა მზის დაბნელება და, რადგანაც დაბნელდება, სწორეთ გარყვნის ნიშანია.

გრიგოლ - (იციინის) აი მე მოგახსენოთ მიზეზი მზის დაბნელებისა: ეს ცხადი საცნაური არის, რომ მზე უძრავათა სდგას, ხოლო ქვეყანა და მოგარე იბრუნვიან, და ოდესმე ჩქარს ბრუნვაში მზის სიახლოვეს შეუძლიათ ისეთის მდებარეობის მიღება, რომ მთვარე დასდგება, სწორეს წრეზედა და დაჰფარავს სიმრგვალებსა მზისას. თუ სრულად დაჰფარა, მაშინ იქნება სრული დაბნელება და თუ რავედენიმე ნაწილი დაჰფარა, მაშინ იქნება კერძობითი დაბნელება. ეს ვარსკვლავთმრიცხველთაგან გამოკვლეული არის, რვაას წლის წარმავლობაში დაბნელდება მზე თვრამეტჯერ, და მათ რიცხვში იქნება სრული დაბნელება მხოლოდ სამი, და თვითო მათგანი განვრცელდება მხოლოდ მუასე ნაწილზედ ქვეყნის სეფრასა, ერთი და თვითო მხარე მხოლოდ სამასს წელწადში იხილავს სრულს დაბნელებასა, რომელიც კავკასიის მხარესა წილ ხვდა ამა 1851 წელსა.

ინდო - მერე ვინ მოგახსენათ, რომ ეს სწორეთ ავრე არის?

გრიგოლ - დარიგება არის გამორიცხული.

ინდო - აი ესემც რა უთხრა იმის დამწერსა, როგორც ეგ სწორეთ დაეწეროს! თუ არ დაგიშლია, ცაში ავიდოდა და იქ დასწერდა, რას ბრძანებთ ეგ რა დასაჯერია!

გრიგოლ - (იქით) Что за безталковый народ, (ინდოს) მაშ თქვენ არა გჯერათ?

ინდო - აბა რა დასაჯერა, თქვენი ჭირიმე, ის არა სჯობს ესა ვსთქვათ, რომ უბედური და ცუდი დრო შეგვექმნა და ყველა იმითი მოგვდის. ამისთანა უკუღმა დროებასა ჩემს სიცოცხლეში არ მოვსწრებივარ.

გეურქ - წორეთ ბრძანებს, კნიაზი, ფინთი დრო არის.

ზაალ - ახირებული ცუდი დრო გვაქვს, გაკითხვა აღარსად არის.

ბერუა - ცუდ დროზედ მეტი რა იქნება, შენი ჭირიმე, დიამბეგის იასაულების შიშით სახელში ქათამი ველარ შემინახავს.

ნენე - ძალიან ფუნთი დროა, დედამთილი რძლისაგან ნამცეცი პატივი აღარა აქვს.

გრიგოლ - (იქით) Вот неблагодарный народ, (იმათ) იმას ხომ არა გრძნობთ, თუ ამ ახალმა დრომ აღმოაჩენა საქართველოში სწავლა, ხელოვნება, განათლება და სიბრძნე, რომლითაც ძენი საქართველოსნი დღე და დღე ემსგავსებიან ევროპის განათლებულთ ხალხთა და მიიხწევიან ფილოსოფიის სწავლამდე. თქვენ ისევ ძველს წესზე მიიწევთ და სამდურავს ამბობთ, ჩვენს ჭკუაზედ აღარავინ იქცევიანო. აბა რა ჭკუა გაქვსთ, რა გელაპარაკოთ? მე გიმარტავთ მზის დაბნელების მიზეზსა, თქვენ დამცინით. მე უფრო სულელი ვარ, რომ თქვენთან ლაპარაკით თავს ვიხეთქამ(გაჯავრებით) Убирайтесь к чорту! (გავა შუა კარით)

გამოსვლა მეთექვსმეტე

ივინივე, გარდა გრიგოლისა

ზაალ - რა ძრეელა ცხარობს შენი მდგმური, მაგრამ რას შევეპუებით, ეგეც ამ დროს ჭკუისაა და ჩვენი ლაპარაკი ჭკუაში არ მოსდის:(გეურქას) პარუმ გეურქ, თუ ფულებს გვაძლევ, მოგვეცი, რომ შინ მივეშველოთ, თორემ შიშით დაწყდებიან.

გეურქ - აი მობრძანდით, ზარაფთან ჩავიდეთ, იქ გამოვართმევ და მოგცემთ. (გავლენ ყველანი შუა კარით)

გამოსვლა მეჩვიდმეტე

მარეს და სიმონიკა

(შემოვლენ მარჯვნივ კარით)

მარეს - სიმონიკო! წადი ჩვენს მდგმურს სთხოვე, აქ მობრძანდეს.

სიმონიკა - კი, ბატონო! (გავა შუა კარით)

მარეს - (პუბლიკას) მამაჩემი თანახმა არ ხდება ჩემის გრიგოლის მიცემაზედა, მაგრამ მე იმის მეტი ქმარი არ მინდა; იმისი ზრდილობა და სწავლა უმჯობესი არის ყოველს სიმდიდრეზედა. მოვიდეს აქა, მე ვიცი, როგორც მოვახერხებ ჩვენს ქორწილსა.

გამოსვლა მეთვრამეტე

იგივე და გრიგოლ

გრიგოლ - (შემოვა შუა კარით და თავს დაუკრავს) მარესს ვახლავარ.

მარეს - (სიცილით) გრიგოლ! მოხუცებულებმა გაგაჯავრეს?

გრიგოლ - შენმა გაზრდამ, შენს სიყვარულს არ დავეჭირე, კინაღამ თავში ხმალი ვზდე მამა შენსა

მარეს - (სიცილით) კაი სასიამაღროს პატივი იქნებოდა.

გრიგოლ - (სიცილით) რა გგონია, მერე უფროც გაგვიადვილდებოდა ქორწილი.

მარეს - ფიქრი ნუ გაქვს, ეხლაც ადვილია. რა შემოეთვალა მიკირტუმას პირითა?

გრიგოლ - რა შემოეთვალა? ჩინოვნიკს ქალს არ მოვცემო! ასეთი ვარ, სისხლი მიშრება ჯავრითა, არ ვიცი, რა მოვახერხოთ.

მარეს - მე გეტყვი, რაც მოვახერხოთ. თუმცა შენ განუმარტე მზის დაბნელება, მაგრამ მამაჩემი მაინც დამყარებული იმაზედ არის: მზე რომ დაბნელდება, ზეციდან გველემშაპები ჩამოვლენ, ყმაწვილს ვაჟსა და ქალს დაიტაცებენო; ჩვენ იმას ეს თავისი ჰაზრი ავუხდინოთ.

გრიგოლ - აბა როგორ?

მარეს - შენ წადი, ეხლავე ერთ საათში დრიშკა იქირავე და უთხარი, რომ მზის დაბნელების დროსა, საცა ჩვენ არ წავიდეთ საცქერლათა, შორიასლო მოგვეყვებს და ჩვენთან დადგეს, მერე, როგორც მზე დაბნელდეს, ჩავსხდეთ დროშკაში, ჩუმად თელეთს წავიდეთ და ჯვარი დავიწეროთ. რაკი იმ დაბნელებაში დავიკარგებით, მამაჩემს სწორეთ ისე ეგონება, უთუოთ გველემშაპებმა მოიტაცესო და მაშინვე გლოვას დაიწყებს. შენი ეს ანბავი მიკირტუმას გაუტყდი, რომ იმ გლოვაში მივიდეს ჩვენსა და მამაჩემთან იმნაირათ მოახერხოს, რომ სიხარულით მოგვადებინოს სახლში.

გრიგოლ - ეგ ძალიან კარგი ჰაზრია, გეთაყვანე, მაგრამ გამოგიშვებს მამაშენი?

მარეს - მაგისას მე მოვახერხებ, მაგრამ შენ, კაცი რომ მოგივიდეს, მალე მოდი და ერთათ წავიდეთ.

გრიგოლ - მაშინვე გეახლები, მაშ წავალ დროშკის დასაჭერათა, მშვიდობით, გეთაყვანე! (გავა).

მარეს - მშვიდობით, ნახვამდინ(პუბლიკას) მართლა სამაგალითო არ იქნება, ეს ჰაზრი რომ ავასრულოთ?

გამოსვლა მეცხრამეტე

იგინივე და რევსიმე

რევსიმე - (შემოვა და მარესს) შვილო! რატომ გარეთ არ გამოიხედამ, მთელი ქალაქის ხალხი გარეთ გადის მზის დაბნელების საცქერლათა.

მარეს - ცარიელის გარეთ გახედვით რას ვისიამოვნებ, დედა! ჩვენც წავიდეთ მინდორში და იქიდან უცქიროთ.

რევსიმე - მამაშენს ეშინიან და გარეთ როდი გაგიყვანს.

მარეს - რისა ეშინიან? ამტელს ხალხთან ყაბული არა აქვს, რაც იმათა, ის ჩვენა, ჩვენს მდგმურს აფიცერსა ვსთხოვოთ, რომ თან წამოგვყვებს და აღარ შეგვეშინდება.

რევსიმე - მერე, წამოგვყვება?

მარეს - თუ კი ვსთხოვოთ, როგორ არ წამოგვყვება.

რევსიმე - მერე რას იტყვიან შვილო, შენსასა, უცხო ვაჟთან რა ხელი აქვსო?

მარეს - რა უნდა თქვან, ხომ არ შემჭამს, თქვენც აქ არ იქნებით, იტყვიან, იმათი მდგმურია და თან გამოჰყოლიაო.

რევსიმე - კარგი, აგერ მამაშენი მოდის, იმასაც ვეტყვი: წავიდეთ და თან წავიყვანოთ.

გამოსვლა მეოცე

იგინივე და გეურქა

გეურქა - (შემოვა შუა კარით) ოჰ... ოჰო... რა ამბავია, მთელი ქალაქის ხალხი სულ გადის მზის საცქერლათა.

მარეს - მამა! გეთაყვა, ჩვენც წავიდეთ.

გეურქა - ვა! მერე მართლა რომ გველეშაპი ჩამოვიდეს და შეგჭამოს?

მარეს - ეჰ, ვეშაპი კი არა და, ტყუილს ამბობენ, თუ მართალია და, რაც ამტკელს ხალხსა, ის ჩვენა.

გეურქ - რევსიმე! შენ რას იტყვი, წავიდეთ?

რევსიმე - წავიდეთ, ყმაწვილი ქალია, გული ნუ დაუჩაგრავთ. ჩვენი მდგმური აფიცარიც თან წავიყვანოთ, იმან ვოენის კაცია, უფრო არ შეგვეშინდება.

გეურქ - ვა! ის რომ ჩვენთანა ნახონ, ხომ დაგვძრახავენ.

რევსიმე - არა, დღეს ისეთი დრო არ არის, რო დაგვძრახოს ვინმემ.

გეურქ - ბას დაუძახეთ, რა მენაღვლება.

რევსიმე - (გასძახებს) სიმონიკო წადი ჩვენი მდგმური უთხარ, მზის დაბნელების საცქერლათა მივდივართ, უთხარ, და თქვენც ჩვენთან წამობრძანდით, უთხარ.

გეურქ - ბას თქვენ გადით, ზონტიკები შემოიტანეთ და წავიდეთ. (რევსიმე და მარეს გავლენ მარჯვნივ) ახ, ნეტავი არ იქნება ეს მზის დაბნელება უხიფათოთ გადაიაროს.

გამოსვლა ოცდამეერთე

იგინივე და გრიგოლ

გრიგოლ - (შემოვა შუა კარით და მოიკითხავს) პარუნ გეურქას ვახლავარ!

გეურქ - მობრძანდი, ბატონო! უკაცრავად ნუ ვიქნებით, რომ გუშინ გაგაჯავრეთ.

გრიგოლ - არა უშავს რა, მე აღარც კი მახსოვს(იქით), გაჯავრება ახლა ნახე, რომ სულ ქოჩორი გაბდღენვეინო.

გამოსვლა ოცდამეორე

იგინივე, რევსიმე და მარეს

შემოვლენ ზონტიკებითა

რეესიმე - (გრიგოლს) ოჰ! ბატონო! მობრძანებულხართ? თუ უკაცრავათ არ გახლდეთ, ჩვენთან წამობრძანდით, მზის დაბნელებას ერთად ვუცქიროთ.

გრიგოლ - ბატონი ბრძანდებით, დიდის კმაყოფილებით(გადახედავს მარჯვს და ერთმანეთს შესცინებენ)

გეურქ - აბა მობრძანდით, წავიდეთ! (გავლენ ყველანი და ფარდა დაეშვება)

მოქმედება მეორე

(ფარდა აიხლება და სცენა წარმოადგენს დიდუბის მინდორსა, ცასა და მზესა, მინდორზედ დადიან ხალხი სხვა და სხვა გვარისა, ზოგნიც ისე. წინ სცენაზედ არიან რუსის ჩინოვნიკი და ქალაქის ვაჭარი).

გამოსვლა პირველი

Купец (ჰკითხავს ჩინოვნიკს) - Господин! правда солнца чорна будет?

Чиновник - Как черный, оно затмится.

Купец – Правда?

Чиновник - разумеется правда.

Купец – нончи?

Чиновник - Вот чрез несколько минут.

Купец – Ех... неправда... я слышал, что лилахана испортил, да неправда выдумит зделили, что солнца чорна будит.

Чиновник - Что такое значит лилахана?

Чиновник - Ва! незнаеш лилахана?

Чиновник - А черт его знает, что оно такое.

Купец - Ент котора на духану большой кушин станет, да на кушину сыны краска стайт.

Чиновник - Тут и сам черт ничего не поймет

Купец - Ва! какой черт, чалавек всегда красить, знайш Г! ент котора белый без на кушину пушайт, там сыны краска стаит, да белый без сыны делайт.

Чиновник - Красилный завод что ли?

Купец – Да, да, да... теперь узнал ент завод гварит спортил гварит, да неправда выдумит сделил гварит, что солнца чорна будет гварит.

Чиновник - Я совершенно ничего не понял, любезный!

Купец - Ва! тебе такой болшой голова есть да ум мала чтоли, как непонимаеш? у нас есть такой закон: когда заводу хазяйн новый сыны краска на кушину пушайт, и когда ент краска спортит тогда заводу хозяин скажит, да тогда краска апет хороший зделится, тепер да так гварит всеки чалавек, что заводу хозяин кушину краска пустил гварит, краска спортил гварит, да неправда выдумит зделил гварит, что солнца чорна будит гварит.

Чиновник - А кто это вам сказал?

Купец - Мой сосед Гогила да Галуста, еще мой отцу мать Дареджана.

Чиновник - Скажи что они все дураки.

Купец - Ва! когда правда слов гварит, дурак?

Чиновник - Что вы толкуете, разве вы не слышали, что об этом издано наставление.

Купец - Кто ент писал?

Чиновник - Один астроном.

Купец - (В сторону с удивлением) Устранум!.. имя такой чтоеент должно быть чорт (Чин)

Г! ент устранум чорт, али чалавек?

Чиновник - Что вы говорите, какой чорт, он человек.

Купец - Ва! чалавек как может пишит, солнца на небо, а он на земли.

Чиновник - Мало чего нет умом писал.

Купец - Ва! ум тебе да есть зачто вы не пишиш?

Чиновник - Я не учился, любезный, астрономии.

Купец - (В полголоса) А ент учился: завтра приди, кончил будит, после приди, кончол будит, принеси денги да зделим твой дело, а?..

Чиновник - (В сторону с удивлением) Что за чорт, откуда он узнал, что я вчерась от одного требовап взятку!

Купец – Господин! скажи пожалуста, ент чалавек устранум или пустранумик, от куда писал, от суди или на небо пошол, да так писал?

Чиновник - (В сторону) Видно, что он глуп! как бы ухитриться(купцу) он вошел на небо и так описал.

Купец - Ва! я слышал, что только чорт может ходит и на земли и на низу земли, и на низу земли, и небо и на выши небо, а чалавек никогда не слышил.

Чиновник - Знаеш любезный! он вошел на небо через лестницу

Купец - Ва! что вы гвариш, такой лесницу один корпус 20 год да неможит зделит

Чиновник - Она давно сделана и поставлена.

Купец - Ва! кто поставил?

Чиновник - Разве вы не слышали, что для праотца Якова поставлена лестница.

Купец – Знаим, знаим, сказал ент Абрааму сыну сын?

Чиновник - Ну да, чрез нее вошел и описал.

Купец – А... теперь правда. Господин! ент лесницу теперь да так стайт?

Чиновник - Как же оно и тепер существует.

Купец - Ех неправда

Чиновник - Когда не верите, так поезжайте сами туда и увидите.

Купец – Е... еу, куда пойдом на дорогу, 5 000 руб. да не довольно будет.

Чиновник - Ну так верьте мне.

Купец - Вы да так гваришь, как один чалавек другой чалавеку сказал.

Чиновник - А что же он сказал?

Купец - Два чалавек стоял адин улицу, адин черна ешак да ент улицу пошол, ент адин чалавек другой чалавеку спросил, „сколко на ент ешаки кожу волос будит?“ ент другой сказал, два милион гварит, ент адин сказал, ни будет гварит, ент другой сказал, кагда ни вериш гварит, считай гварит, ент адин выдил, что сто год нельза была считать, верил ему слова. Я да знаим, что неможно туда пайду, нада верит ваши слову...(разайдутся и прахаживают на сцену).

გამოსვლა მეორე

(იგინივე და შარლატანები)

შემოდინან შარლატანურად ჩაცმულები, თეთრი ქუდეებით, ცალ-ცალ ხელში უჭირავთ თითო საღვინე ღვინით და ცალ-ცალში ჩინური ჯამები. მღერიან:

„ისევ და ისევ ღვინითა, არიარლალი,

დრო გავატაროთ ღვინითა, თარიალალი! (დაიყვირებენ)

ივანე - ჰაზარუ!

დარჩო და სხვანი - (ერთად) ჰაზბანდარუ! (მღერობენ ერთად)

ლოთებო ნეტავი ჩვენა, არიალალი, (ასხამენ ღვინოს ჯამზედ)

დღეს მოგვეცა შვება, ლხენა, თარიალალი!

ივანე - ვიპიმ შტოლი?.. (სამნი ერთად) რაზუმეიცა, ვიპიმ.(დალევენ ერთად და მოჰყვებიან სიმღერას)

ნოემ რომ ერთხელ ინება, არიალალი,

ყურძნის წვენის გემოვნება, თარიალალი! (დაიყვირებენ)

ივანე - ჰაზარუ! (სამნი ერთად მღერობენ)

ჰაზბანდარუ! - თითონ ნუნუას მიუჯდა, არიალალი!

წყალი პირუტყვთ დაანება, თარიალალი! (დაიყვირებენ)

ივანე - იშო ვიპიმ შტოლი?.. (სამნი ერთად) რაზუმეიცა, ვიპიმ.

ივანე - ჩვენც ნოესავით ნუნუას მივუჯდეთ და წყალი ნავს კაცებს დავანებოთ.

(დაასხამენ ღვინოს და მღერობენ)

ავანთოთ შუშის ფარანი... არიალალი...

მოენახოთ სავსე მარანი... არიალალი!

ვანო - ჰაზარუ!

მანო - ჰაზბანდარუ! (მღერობენ)

დავლიოთ სავსე ტიკები... არიალალი...

შევიქნათ რაზბონიკები... თარიალალი!

ვანო - იშო ვიპიმ შტოლი?..

მანო - რაზუმეიცა, ვიპიმ. (დალევენ)

ივანე - ჰუ... ჰ (თავის ქნევით) დვვუ... ჰაზბანდარუ!..

გეო - ჰე, არ ამოხვალ, გარჯილო სულო, აბა ახლა მობრძანდნენ, ვისაც ბევრი ფული აქვს, ჩვენ უფრო მხიარულად მოვჰკვდებით, თუ ისინი, იმათ ფულს ჯავრი მოსდევთ და ჩვენ არცა ძევს და არცა გვშიან (მოჰყვებიან ერთად სიმღერას)

საყვარელი დაგვიკარგავს, ხომ არ გინახამთ, ლოთებო!

ან ავლილი, ან ჩავლილი, ხომ არ გინახამთ, ლოთებო!

ჩვენ საყვარელს ყველა იცნობთ, თეთრი ყელი აქვს, ლოთებო!

შავი თვალი, თეთრი ლოყა, ზედ ხალი აზის, ლოთებო!

გიშრის თმა, სხვილათა წნული, წელზედ აყრია, ლოთებო!

წარბი წვრილი, ტუჩი ტკბილი, უხდება სახეს, ლოთებო!

ვინც ამ საყვარელს გვიპოვის, ას თუმანს მივცემთ, ლოთებო!

ვანო - ჰაზარუ! (სამნი ერთად) ჰაზბანდარუ! (მღერობენ ერთად და ხტიან)

ჰაი დანდანი, დანდანი... ქუ ნანიდ ჩარ ტანი,

ჰაი დანდანი, დანდანი... იმაცილის გალისიმ,

ჰაი დანდანი, დანდანი... სმოვარის ჩალის არი,

ჰაი დანდანი, დანდანი... კაბენ კარიმ ჟანგარი,

ჰაი დანდანი, დანდანი... ქობედ დნიმ წირანი,

ჰაი დანდანი, დანდანი... ქუ ნანიდ ჩარ ტანი...

ვანო - ჰაზარუ! (ერთად) ჰაზბანდარუ!

(აირვეიან ხალხში, მზეს უჩქერიან და სიმთვრალით ხალხს აწყდებიან)

გამოსვლა მეხუთე

ივინივე და რუსეთის მიჟიკა ცოლითა

შემოვლენ მარცხნივ მოვრადლები, მუჟიკი მღერობს და ცოლი ბანს აძღვეს.

В селе малой Ванка жил,

Ванка Танку полюбил.

Ай ли эта что... Ванка Танку полюбил.

Ванка конечно купил,

Сиво гриваго купил.

Ай ли эта что... Сиво гриваго купил.

Ванка конку заложил,

Со двора он укатил.

Ай ли эта что... Со двора он укатил. (и пр)

(кричит во все горло) ей вы, хлопцы, будем пить красенки и умрем веселясь!

Чиновник - Что ты с ума сошел?

гриша - А ты что за умная птица, а?.. (с нспшешкою) видиш, смотрит, чего тут видал, а?..

Ох ты... заложил бы тунучку красного, да чуречку белаго, вот дело, умер бы веселее, а то смотриш, выш ты голова.

Авдотя - Ех... молчи, Гриша, ведь он чиновник.

Гриша - А что за беда, что он чиновник, мы сейчас умрем вместе.

Чиновник - Ех ты, дурак, за чтоже нам умерет?

Гриша - А что! выш все грузины говорят, что мы сейчас умрем.

Чиновник - Какие грузины говорят, из порядочных никто не скажет, глупцы говорят, тебе стыдно верит им, ты русский человек.

Гриша - И ты-та, батюшка, не умней их; ех... чтос тобой толковать(разойдутся и ходят на сцене).

გამოსვლა მეექვსე

ფრანცუზი - (შემოვა მარცხნივ, ხელში დურბინდი უჭირავს, დადის ხალხში და ყვირის: კტო კოჩი პასმატრირი უოლნჩა ნა ტრუბ...)

ვანო - (წინ მოიყვანს) ატტუდა ხარაშო მოუნა სმატრიმ?

ფრანცუზი - უ... ოჩენ კარასო

ვანო - შტო დამ, ადინ რაზ პოსმოტრიმ?

ფრანცუზი - (იწევს ტრუბიდგან) ქადა ადინ რაზ ტაკ ზდეღაი ი პოსმოტრი, ფოლ აზაბ (ამოსწევს მეორესა) ქადა დვა ტაკ ზდეღაი ი პოსმოტრი, ადინ აბაზ (ამოსწევს მესამესა) ქადა ტრი ტაკ ზდეღაი ი პოსმოტრი, აბაზი დვა საურ.

ვანო - დავაი, ნა აბაზ პოსმოტრიმ(მისცემს ფულსა)

ფრანცუზი - ნუ სმატრი (გაახედებს)

ვანო - ნიჩავო ნისმატრიმ

ფრანცუზი - ქაქ ნისმატრი!

გეო - აბა ერთი მე ჩავიხედო! (ფრანცუზს) დავაი მენე ნა აბაზ პოსმოტრიმ (მისცემს ფულსა).

ფრანცუზი - პასმატრი! (გახედებს)

გეო - ნიჩავო ნი სმატრიმ

ფრანცუზი - ე... კლუპი კრუზინ, ქაქ ნესმატრი.

გეო - (ამხანაგებს) დასწყევლა ღმერთმა, მე ამითი ვერა დავინახე რა და!

ვანო - ვერცარა მე დავინახე

მანო - თქვენ არ იცით მაგათი დანახვა, მე ადრე დიდკაცთან ვიყავ მოჯამაგირეთა, იმას ღურბინდი ჰქონდა და იქ ვისწავლე დახედვა, აბა მე გავიხედო (ფრანცუზს) ეი ფრანცუზ! თვლია ლეგუშკა კუშია?

ფრანცუზი - მაია კუსაი

მანო - თვლია ხრისტიანინ?

ფრანცუზი - კრისტიან

მანო - რაზი ლეგუშკა კუშია ჩაღავეკ, ქრისტიან ბუდით?

ფრანცუზი - (ხელსა ჰკრავს) პროც ტვაია ღურაქ.

მანო - პუოლუსტა, მოია დენგი ნეტუ, ნაპოლტარა აბაზ დავაი პოსმოტრიმ და კადა ნოჩი ატ ჩორნა სოლნცა ნე უმრუ, ზავთრა სოროკ უიირნა ლეგუშკა პრინესუ თვაია ლავკა.

ფრანცუზი - ქარაშო, თვაია ზნაიტ მაია ლავკა?

მანო - ნეზნაიმ.

ფრანცუზი - პრასი, ერივანცკი პლოსად, ლავკა მუსიო ლამე.

მანო - ხარაშო, ნაიდუ.

ფრანცუზი - ნუ პასმატრრი! (გაახედავს)

მანო (გაოცებით) - ვა! მოია ნიჩავო ნი ვიდალ.

ფრანცუზი - ეხ... ქაქ ნე ვიდალ

მანო - (ვანოს და გეოს) დაინახეთ რამე თქვენა?

ვანო და გეო (ერთად) ვერცარა ჩვენ დავინახეთ.

მანო - აბა ერთი ვნახო ეშმაკობა ხომ არა არის რა.(სინჯავს ღურბინდს) ვაიმე, სარკე როდის ჰქონია!

ვანო – მაშ მოგვატყუა?

მანო – (ფრანცუზს) ზაშტო სტეკლო ნიეტუ, ჰა?

ფრანცუზი (იქით) ახ!.. გლუპი გრუზინ უზნალ მოია ხიტრი დელა(კანკალებს შიშით)

ვანო, გეო და მანო – (ერთად) აი, ლეგუშკა ფრანცუზ, ზაშტო აბმანით ჰა? დავაი მოი დენგი, დავაი!.. (მისცვივდებიან საყელოს დაუჭერენ და ეწევიან აქეთ-იქით, წაართმევენ ფულსა, მოხდიან ქუდსა, წაართმევენ ტრუბასა და თან ცემას დაუწეებენ, ფრანცუზი ღრიალებს)აი, აი... (გაექცევა და კულისაში გავარდება)

ვანო – ვერა ხედამ, ბაყაყიჭამია ფრანცუზსა, როგორ გვატყუებდა! მგონია კი ღირდეს ქუდი და ღურბინდი ექვს შაურათა.

გამოსვლა მეშვიდე

ივინივე და ნემეცი

შემოვა მარცხნივ, სცენაზედა, წინ თეთრი ფართუკი აფარია, თავზე ხახალი უძევს საღფეთკადაფარებული, დადის ხალხში და ყვირის: სა... ხრ მარო... ჟინი. სა... ხრ მარო... ჟინი. სა... ხრ მარო... ჟინი.

ივანე - (ამხანაგებს) არიქა, ჩვენი ჭკუის საქმე გაჩნდა, ხალხი ლამის შიშით დაწყდეს, მზე ბნელდებაო და ეს ხალხი სახრი მაროჟინას დაათრევს გასაყიდათა, მოდი დაუძახებ, ვიყიდლოთ: სამიოთ სტაქანს რომ შეეჭამთ, მე გავიქცევი და ხალხში გავერევი, ის რო მე გამომიდგეს, მანო, შენ მაროჟინა მოიტაცე და წაიღე, მერე ერთათა ვჭამოთ. მაინც წედან ჩვენ ფრანცუზმა მოგვატყუა და ჩვენ ეს მოვატყუოთ.

მანო – აბა დაუძახე, აგრე ვუყოთ.

ივანე – ე... ეი... მაროჟინა, დავა სუდა!(მოვლენ წინ სცენაზედ)

ნემეცი (მოიტანს წინა) აშტო!! დეოია გუბით.

მანო – ვა! კაკ ნიკპიტ. რაზი ემუ დენპი ნეტუ შტოლი! ონ კნიაზ მაჭარსკი და ჩართუქესანსკი, ზნაიშ?

ნემეცი – ააა... გურუ... ზია, გავო ჟოლტი ჩოსა და ბელი ჟაპკა, ვსე კნიაზ, ნუ გუბი.

ივანე – მოია კაპიკ-მაპიკ ნეზნაით, გვარი შაურ შტოლი?

ნემეცი – ნუ... ზია... ურ.

ივანე – ნუ დავაი ადინ სტაქან მენე (მახანაგებზე აჩვენებს), ადინ იამუ, ადინ იამუ, ადინ იამუ.

ნემეცი – ნუ გუჟიდე!(ხახალს ძირს დასდებს, ახდის სალფეტკს, ამოიღებს სტაქანსა, მაროჟინას ჩასდებს შიგა და თითო-თითოთ ჩამოურიგებს ყველასა და შეაჭმევს) ვინ აბაზ ბუდიდ.

ივანე – ხარაშო, იშო დავაი.

ნემეცი – გიჟიდე...(კიდევ შეაჭმევს) დებერ ცვეინ აბაზ ბუ... დით.

ივანე – ხარაშო, დენგი პოსლე ვაზმოშ(გაექცევა და გაერევა ხალხში, ნემეცი მისდევს უკან ყვირილითა: უ... აზიათ ბრაკლატი გუდა იდოშ?!. მანო აიღებს მაროჟინასა და მიარბენინებს გარეთა)

გეო – (უყვირის ნემეცს) ეი... ეი... ვონ ვიდიშ, მაროჟინა ეზალ.

ნემეცი (მოვა წინ სცენაზედ, ქუდს მოიხდის, თმას იბღუნის და ნემეცურად ილანძღება, მერე გამოუდგება მანუასა და მიმავალს). აზიათ ბროგლათი, დებერ ხაზან შალგანი ნიდას (გავა გარეთ).

გამოსვლა მერვე

სცენაზედ მყოფნი

შეიქნება ხალხში ყაყანი. ერთი ამბობს: აი სიბნელე წამოვიდა. ცოტა დაბნელდება სცენაზედ. მეორე: აი როგორ დაბნელდა. მესამე: უფრო იკლო სინათლემა აი. შეიქმონენ შიშით კანკალსა, სცენაზედა მზე უფრო ბნელდება ნელ-ნელა, ხალხი შეიქს შფოთვასა და გაშტერებით მზეს უცქერიან: აი დაბნელდა, დაბნელდა! მზე სულ დაბნელდება, სიბნელე გასწევს ორს მინუტსა და სიბნელეში ზოგნი ერთმანეთს ევარებიან, ზოგნი თვალებზედ ხელს იფარებენ, ზოგნი სცენიდან გაიქცევიან და ზოგნი შიშით ბაბანებენ და კბილს კბილზედ აცემინებენ.

გრიგოლ – (მარესს ჩუმად) აბა, დრო ახლა გვაქვს, გეთაყვანე, წავიდეთ!

მარეს – წავიდეთ შენი ჭირიმე!

გრიგოლ გუყრის მარესს კლავში ხელსა და ჩქარის სიარულით გავლენ სცენიდან მარჯვნივ. მზე ცოტათ განათდება, ხალხში ჩავარდება სიხარულისა ჩოჩქოლი. ერთი ამბობს: ღმერთო მადლობა შენთვისა, აი ცოტათი განათდა! მეორე: აი უფრო მოემატა სინათლე. მესამე: აი სულ გამოდის(ერთათ ხალხი) აი, აი , აი თენდება, თენდება!(მზე სულ გამოვა და ხალხი ერთად ყვირიან) ღმერთო მადლობა შენთვის, ისევ გამოვიდა მზე(ყვირიან სიხარულის ხმით). განათდა, განათდა, ახლა ღმერთი მოწყალეა, განათდა, ურა, ურა, ურა!

Чиновник - (кричит) Торжествуеть наука...

რეესიმე – (მიიხედ-მოიხედავს და, მარესს რო ვეღარ დაინახავს, შეშფოთებით)ქა, ვაი შენ ჩემო თაო, მარეს რა ქნილა?

გეურქ – (შეშფოთებით ათვალიერებს) ვაიმე, აღარც ჩვენი მდგმური აფიცერი არის!

რეესიმე – ვაიმე ქა! აღაჯან აღარ არიან?

გეურქ – ვაიმე უთუოდ სიბნელეში გველეშაპები ჩამოვიდნენ და ჩაყლაპეს(ყვირიან ცოლი და ქმარი) ვაიმე შვილო! (ხალხში ჩავარდება ჩოჩქოლი) რა ამბავია? ნუ გეშინიათ, ღმერთი მოწყალეა.

(გეურქას და რევსიმეს უჭერენ კლავებსა, გაჰყავთ გარეთა, ისინი მისდევენ წივილ-კივილითა, თან გული მისდით და დაეშვება ფარდა.)

მოქმედება მესამე

სცენა წარმოადგენს გეურქასავე დარბაზსა, სცენა არის დაფენილი ხალიჩებითა, მარცხნივ ზის რევსიმე, გვერდით უზის დედამთილი, მარჯვნივ ზის გეურქა. სამნივ შავებით დართულნი; რევსიმეს უსხედან მოსამძიმრე ქალები ჩადრებითა, და გეურქას – კაცებილ რევსიმე ტირის და ნენ მანს აძლევს.

გამოსვლა პირველი

რევსიმე – (ტირილით) მარეხჯან, შე... ნი... ჭი... რიმე, ჰო... ჰო... შენი ყრმიზი ღო... ყების... ჭი... რიმე, ჰო... ჰო... ვაი... ვაი... ვაი... შენი გამოსურმული თვა... ლების ჭი... რიმე... ჰო... ჰო... ვაი... ვაი... ვაი... (გეურქას) ალაჯან! ალაჯან! ქა! გენაცვალე, ეს რა ცეცხლი მოგვივიდა ზეციდგანა, განა მარტო ჩვენთვის დაბნელდა მზე.

გეურქა – (ღრიალებს) ვაიმე, შვილო მარეხ, შვილო, შენს თავზედ გვიგინმა ვეღარ ვნახე, შვილო! სად დამეკარგე, შვილო!

რევსიმე – ეგრე თქვი, ალაჯან, გენაცვალე!(ტირის) მარეხჯან, შენი ქორ.. წილი ლეღარ ვნახე, ჰ... ჰო, შენთვის ჩალაგებული მზითევი ოხ... რათ დაგრჩა. ჰო... ჰო!.. ვაი... ვაი... წელეზო დამწვარო!

გამოსვლა მეორე

ივინივე და სიმონიკა

სიმონიკა - (შემოვა, ფაფანაკს გადიგდებს უკან, ჩამოიჩოქებს და მიუტირებს) ვაი ჩემს ყოფას, ეს რა მეგვივიდა, ალა! რავა დაგეკარგეთ მარეხი, ვაი ვუბედურებს, ვაი დაფსებულებს!

რევსიმე – ეგრე მოგვიტირე სიმონიკო, მარეხი აღარა გყავს!(დაიკივლებს) ვაი შენს დამკარგავსა, შვილო! ვაი... ვაი... ვაი!

სიმონიკა – ვაი ჩემს თავს, ალა! ნეტამც შენ შეეჭამე მის მაგივრათ!

გეურქ – ვაი, ნეტავი აგრე ყოფილიყო!

რეესიმე – სიმონიკო! წადი, ერთი სამოვარი კიპიტი ქენი, კუსები დაუძახოდ.

სიმონიკა – კი, ბატონო!

გამოსვლა მესამე

იგინივე და მიკირტუმა

მიკირტუმა შემოვა, გეურქა და რეესიმე მიუტირებენ

მიკირტუმჯან, მოგვიტირე, მარეს დაგკარგეთ! მიკირტუმჯან!..

მიკირტუმ – ტო, ტუტუც მიილიქ, ინჩიქ ანუმ?

გეურქ – ვა! მიკირტუმჯან, რა ტუტუცობაა. ქალი დაგკარგე, ბას არ ვიტირო, ნეტავი შენთვის დამეჯერებინა და შენი ნათლულისათვის მიმეცა, იქნება არ დამკარგოდა.

მიკირტუმ – ტო, მე ეხლა წიგნი მამივიდა ჩემი ნათლულისა, მწერამს: მზე რო დაბნელდა, ყარამანის დროს რო ფერიაები ყოფილან, იმისთანაები ჩამოვიდნენ ციღვან და მარეს მოიტაცესო; მე გამოვუდექ წასართმევათა, მარტო რო ვერ წავართვი, ჰავლაბრის კაზარმიდან ერთი როტა ჯარი წავასხი და გამოვუდექიო; ფერიაები დაემზადნენ, რომ გამქცეოდნენ და მარეს უვკიანეს ზღვის კუნძულში წაეყვანათო; მაგრამ ერთს ხევში შევიმწყვდიე და აღარ უშვებო, ახლა გეურქასა ჰკითხე, თუ ნებას მამცემს, რომ ცოლად შევიერთო მარეხი, ხომ გამოვიხსნიო, თუ არა და, დავანებებ, წაიყვანონო.

გეურქ - (სიხარულით) ვა, მართლა! თუ აგრეა, გამოიხსნას(წამოვარდება ზეზე) ვინ ღორი არ შერთამს, ჩემი ღოვლათიც სულ იმათ მივცემ, ოღონც ჩემი მარეხი ცოცხალი მაჩვენოს.

რეესიმე – (ადგება და წამოცვივიან ყველანი, სიხარული შეუდგებათ და რეესიმე ეხვევა მიკირტუმას)ქა, მიკირტუმჯან, გენაცვალე, გვიშველე, ოღონც ჩემი მარეხი კიდენ ცოცხალი ვნახო და როგორ არ მივცემ ცოლათა.

მიკირტუმ – პარუნ გეურქ! ბას პირობის წერილი დასწერე, რომ იმათი ჯვარის დაწერა შენი ყაბული არის და შენი იმენიეხედ ნასლედნიკიც იმათა ჰქნამ, მე წავალ და იმათ მოვიყვან.

სიმონიკა – ალა დოუწერე, შენი მუხლის ჭირიმე, მარა ისიც კი შიდ ჩასწერე, რომე მზითვის სკივრის მისატანი სამი სანეთი მომცეს.

გეურქ – მიკირტუმ რომანინ! ვა, მე მკითხამ, დაწერე, როგორც გინდა და მე ხელი მოვაწერამ.

მიკირტუმ – სიმონიკო! წადი საწერელი და ქაღალდი შემოიტანე, დავწერო.

სიმონიკა – ახლავ, შენი მუხლის ჭირიმე (გავა და შემოუტანს).

მიკირტუმ (დაჯდება სტოლზედა, დასწერს და მიუტანს გეურქას) პარუნ გეურქ! აბა, ხელი მოაწერე.

გეურქ – ერთი წამიკითხე, როგორ დაწერე

მიკირტუმ - (კითხულობს) „1851 წელსა, კათათვის შვიდმეტი დღესა, ესე წერილი გაძლეე მე, გეურქა კარაპეტოვი, თქვენ, პორუნიკი გრიგოლ ჩეშმაკოვი, იმიტომა, რომა ჩემი ყაბული არის, ჩემი ქალი მარეხზედ ჯვარი დაიწერო დღესვე და ჩემი იმენის ნასლედნიკმაც შენ და ჩემი ქალმა გაგხადეთ, თუ მე ეს პირობა ატკაზი ვქნა, მაშინ ღმერთი გამიწყრეს და ყოველი ჩემი იმენია თუ ფულები, სულ პრიკაზი მივცე შტრაფათა”.

გეურქ – ძალიან კარგია!(მოაწერს ხელს და მისცემს მიკირტუმას)

მიკირტუმა – (წერილს ჯიბეში ჩაიდებს, დადის სცენაზე და იცინის მაღალის ხმითა) ხა...ხა... ხა....

გეურქ –(გაკვირვებული) ვა! მიკირტუმჯან, რას იცინი?

მიკირტუმ-(გეურქას) აიდა შტუკ! ამისთანა შტუკი კამედლიანჩიკი ჟამპოულიც ვერ იქმნოდა, ხა... ხა... ხა...(პუბლიკას) ვიდალ ვი? მიკირტუმ რომანინ, კაკოი მასტორ ჩალავეკ, კაკოი შტუკუ ზდეღალ, ჰა... ჰა...(გეურქას)აიდა შტუკ, შტუკ, შტუკ, შტუკ, შტუკ, შტუკ, შტუკ, ხა... ხა... ხა...

გეურქ - (გაოცებით) ვა! რა შტუკი, ერთი გამაგებინე, და?

მიკირტუმ – ტო, რის გველეშაპი, რის ფერია, მზემ რო დაბნელდა, შენი ქალმა და ჩემი ნათლული თელეთში გაპარულიყვნენ და ჯვარი დაუწერიათ. ახლა ჩემი ნათლული მწერამს: ერთი შტუკი გავუკეთე გეურქასა, წერილი ეგები გამოართო, რომ ჯვარის წერის ყაბული ქნას და თავისი იმენის ნასლედნიკმაც ჩვენა გექნასო. რაკი წერილი გამოგართვი, ეხლავ წავალ და იმათ მეზურნეებით და საზანდრებით მოვიყვან, ხა... ხა... ხა... აიდა შტუკ, შტუკ, შტუკ, შტუკ, ხა... ხა... ხა...

გეურქ – ტო, მიკირტუმჯან, გეთაყვანე, მართლა ამბობ?

მიკირტუმ – ვა! მართლა-მეთქი, ჩემის ჯანის მზემა. ტო, გადით, შავებმა გამოიცვალეთ და სახლიც მოამზადეთ. მე წავალ და ისინი მოვიყვან.

გეურქ – ას ტერ ასტვან! ეს რა კუდიანი დრომ გამხდარა ახლანდელი ხალხი წორეთ ფრთიანი ეშმაკი მოატყუებენ, ჰა! (მიკირტუმ იცინის)

რევსიმე – ალაჯან! ერთი ჩემი მარეს დროზე ვნახო და რაც მოხდა- მოხდა(მიკირტუმას) მიკირტუმჯან! გენაცვალე, დროზედ მოიყვანე.

მიკირტუმ – ახლავე მოვიყვან(გავა შუა კარით)

რევსიმე – სიმონიკა! შენი სახლი დაგავე და ახალი მებელით მორთე, ჩვენც ტანისამოსები გამოვიცვლით და მოვალთ.

სიმონიკა – ვაი მოგეცა, ახლავ(გავა და ცოცხს შემოიტანს)

რევსიმე – ალაჯან! წავიდეთ ტანისამოსები გამოვიცვალოთ და ჩვენი ვინმეებიც დავაძახებინოთ.

გეურქ – წავიდეთ, მეტი რა ღონეა, ჩემი ქალი ვაჭარი მინდა მიმეცა, მაგრამ რაღა ფაიდა.

რევსიმე – არა უშავს რა, ალაჯან! იმას სომეხია, ფულის ყაირათი ეცოდინება. წავიდეთ, (სიმონიკას) მებელს და საფენს მეორე ბიჭი მოგაწოდებს კარებში და შენ მორთე სახლი. (გავლენ ყველანი სიმონიკას გარდა)

სიმონიკა – (მიაძახებს) კაი იქნება (მერე პუბლიკას) იიშე, ე რა მოხდა, შე კაცო, ნუ მამიკვდე, ეშმაკს ვერ ეფიქრა ეს, აჰ, დედა დედა, დედა, რაღა გამეხარა, ჩემს სამს მანათს ავიღეფ(ხალიჩას გამოიტანს გარეთა და მერე გვის სახლსა და თან მღერობს)ოდელია დელასა, ორი ოდელია დელასა... აჰ, რაღა ტკბილა შეიტკბიან ამაღამ(ამოოხვრით) ახ, ნეტამც... (ცოცხს გაიტანს გარეთა და ერთს ხალიჩას შემოიტანს მარჯვნივ კულისისაკენ და ჰფენს და ლაპარაკობს) კი, თქვენ ნუ მოუკვდებით ჩემს თავს, ვარგისი ცოლ-ქმარი შეიყარნენ, ოდელია... (აწოდებენ კარებიდან მებელსა, სიმონიკა აწყობს სკამებს რიგზედ, ორს კრესლას დასდგამს მარცხნივ და სუზნებს გადააფარებს, ზედ ჩამოჯდება და ყელს მოიდერებს) აჰ, მოგეცა ღვთის წყალობა, მეც კი მომიხდეს გვირგვინის ფსკვნა, აჰ, გვირგვინიანი რაღა ცეკვას დოუვლი! დედა, დედა, დედა... (წამოდგება, კლაკებს კვანწავს, თამაშობს და თავის თავს ეუბნება)ჰო, უქენ, უქენ, შე კაცო, კი გიხდება, კი!

გამოსვლა მეოთხე

შემოდინ გეურქა, რევსიმე და სტუმრები დართულნი, გეურქას უჭირავს ცალ ხელში ვერცხლის ჯამით ღვინო და ცალში – შალი, და რევსიმეს – ვერცხლის ჯამით შარბათი

რევსიმე – ალაჯან, რათ დაიგვიანეს?

გეურქ – აი ფეხის ხმა ისმის, ვიდაც მორბის

გამოსვლა მეხუთე

იგინივე და მახარობელი

მასარობელი - (შემოვა შუა კარით და დაიძახებს)

მე ვარ მასარობელი, სახლის გამსარებელი,

მიჭამია ბალი, ამისვით მხარი,

ერთი ჯამი ღვინო მასვით, გამატარეთ კარი...

მომილოცავს, ბატონებო, მშვიდობით მოგდიან მეფე და დედოფალი!

(გეურქა ჯამით ღვინოს მოიტანს, შიგ ფულებს ჩაუყრის, დააღვევინებს და შალით მხარს აუხვევს. ისმის ზურნის ხმა).

გეურქ – აი, მოდიან.

გამოსვლა მეექვსე

გეურქ – ეჰ... ამისთანა შტუკი არ უნდა გექნათ, მაგრამ ფაიდა აღარ არის (მიულოცავს) ღმერთმა გაბედნიეროთ, ერთმანეთი შეგაბეროთ, ფულის ყაირათი მოგცეთ, სამი ვაჟი მოგცეთ და ერთი ქალი!

მიკირტუმ – (ყვირის) ამინ... ისეღ საგლასიმ!..

რვესიმე – (სიძეს თავს დაუკრავს, ქალს პირზედ აკოცებს და მიულოცავს) ღმერთმა გაგაბედნიეროთ, ერთმანეთს შეგაბეროთ(გრიგოლს) შენ იცი და შენი ვაჟობა, როგორც ჩემი მარეხი კარგათ შაინახავ! (დააღვევინებს მარეხს ჯამით შარბათს, მერე მაყრები მიიყვანენ მეფე დედოფალს, დასხმენ კრესლებზედა და ყველანი დასხდებიან სკამებზედ, საზანდრები დასხდებიან მარჯვნივ ხალიჩაზედა)

მიკირტუმ – (საზანდრებს) ვა! რას მოგიწყენიათ, ხო ხედავთ, ქორწილი გავქვს, აბა ერთი იმღერეთ!

(საზანდრები მოჰყვებიან სიმღერას და რო გაათავებენ)

მიკირტუმ – ნუ! ტეპერ ლეზგინკუ...

საზანდრები დაუკრვენ ლეკურს სათამაშოსა, ქალები ყველანი ითამაშებენ და მაყრები ტაშს უკრვენ, მერე ითამაშებს მეფე და დედოფალს, დაუკრავს თავსა, დედოფალი ითამაშებს და რო გაათავებს თამაშობასა, ფარდა დაეშვება.

